ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის
სხდომის ოქმი
№–61

(გაერთიანებული ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიასთან)

ქ. თბილისი; 15 მაისი, 2020 წ. 13:00 სთ.

სხდომას ესწრებოდნენ:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრები:

ლევან ჟორჟოლიანი (თავმჯდომარე)

თინათინ ნიბლოშვილი
გიორგი ჩაკვეტაძე
ავთანდილ ცინცაძე
ქეთევან მამულაშვილი
ალექსანდრე ხუჯაძე
ნინო რუხაძე
ლილე ლიპარტელიანი

მოწვეული პირები:

თამარ ტალიაშვილი – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე

მარიამ კვერნაძე – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული სამსახურის უფროსი

თამუნა მელიქიშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს ქონების მართვის სამსახურის უფროსი

გაიოზ თალაკვაძე – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო – საქალაქო სამსახურის უფროსი

დავით ჯაიანი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე

ვასილ აბულაძე – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე

დავით ჩანქსელიანი – შპს „თბილსერვის ჯგუფი"–ს იურისტი

სხდომის თავმჯდომარე:

ლევან ჟორჟოლიანი
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის
კომისიის თავმჯდომარე

დღის წესრიგი

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს შორის ავტობუსების ქსელის რესტრუქტურიზაციისა და ინტეგრირებული ავტომატიზებული მგზავრობის საფასურის შეგროვების სისტემის შესამუშავებლად" გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულების (C37466/1413/9665) დანართი B-ში (საკონსულტაციო კონტრაქტი) ცვლილების შეტანის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში ზოგიერთი პირის დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელის გადახდისაგან გათავისუფლების შესახებ 2020 წელს გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობიდან გამომდინარე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

3. „ქ. თბილისში, თამარაშვილის ქუჩა N13ა, N13ბ, N13გ (ს/კ N01.14.14.001.121, N01.14.14.001.122, N01.14.14.001.123) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით შპს ,,იქსორი თამარაშვილზე"- თვის (ს/ნ 405210711) ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

4. „ქ. თბილისში, ნიკოლოზ ყიფშიძის ქუჩა N1 (ს/კ N01.14.14.003.122) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით შპს „გუმბათი ჰოლდინგი+"-ისთვის (ს/კ 404582073) ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

5. „ქალაქ თბილისში, ერწოს ქ. N15-ის მიმდებარედ არსებული 2500 კვმ. მიწის ნაკვეთის(ს/კ: 01.12.08.010.053) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

6. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ თბილისში, ქუჩა კრწანისი, N72-ში მდებარე 1275 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.18.06.015.057) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

7. "ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის N19-72 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

8. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის N19-78 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

9. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ღია კაფეს მოწყობის მიზნით გადაცემული მიწის ნაკვეთების მოიჯარეთა მიმართ ზოგიერთი ხელშემწყობი ღონისძიების განხორციელების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

10. "ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების მიზნით, სარგებლობის უფლებით გადაცემული უძრავი ქონების მოსარგებლეთა მიმართ ზოგიერთი ხელშემწყობი ღონისძიების განხორციელების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

11."ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, განსაზღვრული მოძრავი ქონების საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ: 204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების შესახებ თანხმობის გაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

12. „ქალაქ თბილისში, დასახლება ვაზისუბანი, კორპუსი №7ა-ში (საკადასტრო კოდი: №01.17.10.002.060.01.505) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

13. "ქალაქ თბილისში, გლდანის მასივში, II მიკრო/რაიონში, სერვის ცენტრის მიმდებარედ (ნაკვეთი 12/042) (საკადასტრო კოდი: N01.11.12.012.042.01.500) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

14. "ქალაქ თბილისში, იპოლიტ-ივანოვის ქუჩა N43-ში (ნაკვეთი 33/073) (საკადასტრო კოდი: N01.11.05.033.073.01.023) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

15. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 16 078 კვ.მ. უძრავი ქონების (მდებარე - ქ. თბილისში, ნუცუბიძის ფერდობზე, II მიკრო/რაიონში, I კვარტალში, კორპუსი N8-ის მიმდებარედ, ნაკვ. 007/268 , საკადასტრო კოდი: N01.14.01.007.268) ყოფილი საუწყებო სამშენებლო კოოპერატივი N601-ის უფლებამონაცვლე – ქ. თბილისის ინდივიდუალური ბინათმშენებლობის მენაშენეთა ამხანაგობა „ნუცუბიძის პლატო 601"-ისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 25 ნოემბრის N382 განკარგულებაში ცვლილების შეტანისა და ყოფილი საუწყებო სამშენებლო კოოპერატივი N601-ის უფლებამონაცვლე – ქ. თბილისის ინდივიდუალური ბინათმშენებლობის მენაშენეთა ამხანაგობა „ნუცუბიძის პლატო 601"-სა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს შორის „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირიგანკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" 2016 წლის 2 დეკემბერს გაფორმებულ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანაზე თანხმობის გაცემის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

16. „ქ. თბილისში, დიდი დიღომი, IV მიკრო/რაიონი, 29-ე კორპუსის მიმდებარედ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ 8613 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ: N01.10.07.004.058) ე.წ. ყოფილი კოოპერატიული ბინათმშენებლობის წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვისა და შპს „პერსპექტივასათვის" (ს/კ: 405304950) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

17. „ქალაქ თბილისში, ფერდობი შალვა ნუცუბიძე, მიკრო/რაიონი IV, კორპუსი 55-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.01.001.060.01.021ა) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

18. “ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი, N2-8-ში (საკადასტრო კოდი: N01.16.05.033.005.01.558) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

19. „ქალაქ თბილისში, კოლმეურნეობის მოედანი „პირიმზე“-ს მიმდებარედ არსებული 242 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან 36 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.18.03.010.009) გვანცა ქურხულისთვის (პ/ნ: 01011076630) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

20. „ქალაქ თბილისში, ხიზანიშვილის ქუჩაზე, ავეჯის სახლის მოპირდაპირედ არსებული 37 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.11.12.014.109) შპს „ორიგინალი +“-ისთვის (ს/ნ: 400081095) იჯარისფორმითსარგებლობისუფლებითგადაცემისსაკითხის შეთანხმებისთაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოის განკარგულების პროექტი.

21. „ქალაქ თბილისში, რიყის ტერიტორიაზე არსებული 55735 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: 01.17.01.065.065) 47 კვ.მ მიწის ნაკვეთის შპს „ატრაქციონისთვის“ (ს/კ: 405354753) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

22. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 135–135[2] მუხლებით, 135[3]მუხლის პირველი ნაწილით, 135[4] და 135[5] მუხლებით გათვალისწინებულისამართალდარღვევებისას საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგებისა და გასაჩივრების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

23. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებების ერთ ბავშვზე/აღსაზრდელზე გათვლილი ვაუჩერით დაფინანსების, სასკოლო მზაობის საგანმანათლებლო სახელმწიფო სტანდარტის დანერგვის, მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებებშიბავშვის/აღსაზრდელის რეგისტრაციისა და მიღება-ამორიცხვის წესის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 02 ოქტომბრის N25-101 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დადგენილების პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და დამსწრე წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგის პროექტი.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ ერთხმად იქნა დამტკიცებული სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ დავით ჯაიანმა, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს შორის ავტობუსების ქსელის რესტრუქტურიზაციისა და ინტეგრირებული ავტომატიზებული მგზავრობის საფასურის შეგროვების სისტემის შესამუშავებლად“ გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულების (C37466/1413/9665) დანართი B-ში (საკონსულტაციო კონტრაქტი) ცვლილების შეტანის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელის განმარტებით, განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ქ. თბილისის მერიასა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს შორის, ავტობუსების ქსელის რესტრუქტურიზაციისა და ინტეგრირებული ავტომატიზებული მგზავრობის საფასურის შეგროვების სისტემის შესამუშავებლად, გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულების დანართი B-ში (საკონსულტაციო კონტრაქტი) ცვლილების შეტანის საკითხზე, ქ. თბილისის საკრებულოს მიერ, ქ. თბილისის მთავრობისათვის თანხმობის მიცემას.

საკითხის წარმომდგენის განმარტებით **ხორციელდება,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს შორის, ავტობუსების ქსელის რესტრუქტურიზაციისა და ინტეგრირებული ავტომატიზებული მგზავრობის საფასურის შეგროვების სისტემის შესამუშავებლად გაფორმებულ **საგრანტო ხელშეკრულების** (C37466/1413/9665) - **„საქართველო: ავტობუსების ქსელის რესტრუქტურიზაცია და ინტეგრირებული ავტომატიზებული მგზავრობის საფასურის შეგროვების სისტემა“** ცვლილება, რაც ითვალისწინებს, **კონსულტანტის მომსახურების დასრულების თარიღად – 2020 წლის 15 აპრილის განსაზღვრას.**

ბატონმა დავითმა მოხსენების დასასრულისკენ აღნიშნა, რომ საკითხი მოწონებულ იქნა ქ. თბილისის მთავრობის მიერ და მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული, ქალაქ თბილისის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ **ბატონმა ლევან ჟორჟოლიანმა ისაუბრა განკარგულების პროექტთან დაკავშირებით არსებულ შემდეგ შენიშვნებზე:**

- პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში მთავრობის განკარგულება მითითებულია ტექნიკური ხარვეზით, რომელიც უნდა გასწორდეს და მთავრობის განკარგულებას მიეთითოს განკარგულების მიღების თარიღი და სარეგისტრაციო ნომერი.
- პირველ პუნქტში სასურველია მიეთითოს მთავრობის განკარგულება, რომლის საფუძველზეც ხორციელდება ცვლილება და საკრებულოს განკარგულების პროექტის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შესაბამისი რედაქციით:

გადაწყვიტეს:

ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ლილე ლიპარტელიანმა თავი შეიკავა წარმოდგენილი განკარგულების პროექტთან დაკავშირებით ხმის მიცემისაგან, ხოლო იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა გაიოზ თალაკვაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში ზოგიერთი პირის დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელის გადახდისაგან გათავისუფლების შესახებ 2020 წელს გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობიდან გამომდინარე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებელმა წარმოდგენილი დადგენილების პროექტის მიღების აუცილებლობა განაპირობა, ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ, პანდემიად აღიარებული ახალი კორონა ვირუსის -„COVID 19“-ის გავრცელებამ, ვინაიდან 2020 წლის 21 მარტს მიღებული საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტითა და მის საფუძველზე გამოცემული „საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მარტის N181 დადგენილებით, საგანგებო მდგომარეობის მოქმედების ვადით, შეიზღუდა რიგი საქმიანობები, მათ შორის, დედაქალაქში მოქმედმა რიგმა ობიექტმა (დაწესებულებები, ორგანიზაციები იურიდიულ პირები და ინდივიდუალურ მეწარმეები) ფუნქციონირება სრულად შეწყვიტეს.

ბატონმა გაიოზმა ხაზი გაუსვა, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის შემოღების, გადახდის ინსტრუქციისა და დაგვა-დასუფთავების, ნარჩენების მართვის, ოპერატორის შერჩევის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N17-46 დადგენილებით დამტკიცებული „დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის“ მე-4 მუხლს, რომლის თანახმადაც, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელი არ დაერიცხებათ იმ პირებს, რომლებიც სხვადასხვა მიზეზის გამო არ ფუნქციონირებენ (შეწყვეტილი აქვთ საქმიანობა ან სხვ.) და შესაბამისად არ წარმოქმნიან ნარჩენებს.

მომხსენებლის მითითებით, შექმნილი ვითარების გათვალისწინებით, მუნიციპალიტეტის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებულმა იურიდიულმა პირმა შპს „თბილსერვის ჯგუფმა“ მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ სუბიექტები, რომელთა საქმიანობა შეჩერებულია, არსებული ვითარების გამო, უნდა გათავისუფლდნენ მოსაკრებლის გადახდისაგან საგანგებო მდგომარეობის პერიოდში, ხოლო, ქალაქ თბილისის მთავრობის მიერ, 2020 წლის 29 აპრილის N20.465.606 განკარგულებით მოწონებულ იქნა საკითხი.

გაიოზ თალაკვაძემ დეტალურად ისაუბრა დადგენილების პროექტით ითვალისწინებულ შემდეგ საკითხებზე:

- 2020 წელს გამოცხადებულ საგანგებო მდგომარეობის პერიოდში, დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის დაწესებული მოსაკრებლის გადახდისაგან თავისუფლდებიან შესაბამისი დაწესებულებები, ორგანიზაციები, იურიდიული პირები და ინდივიდუალური მეწარმეები.

- **შეღავათით სარგებლობის უფლების მქონე, დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის გადამხდელთა შესაბამისი კატეგორიები განსაზღვრულ იქნა ამავე პროექტის დანართის სახით.**

- დაწესებულებებს, ორგანიზაციებს, იურიდიულ პირებს და ინდივიდუალურ მეწარმეებს, რომელთაც 2020 წელს გამოცხადებულ საგანგებო მდგომარეობის პერიოდში, გადახდილი აქვთ მოსაკრებელი, გადახდილი თანხა აესახებათ სააბონენტო ბარათზე (რომელიც არ ექვემდებარება დაბრუნებას) და საგანგებო მდგომარეობის დასრულების შემდგომ, დაიფარება დარიცხული მიმდინარე დავალიანება.

- შეღავათით სარგებლობის უფლების მქონე სუბიექტები უფლებამოსილნი არიან უარი განაცხადონ დასუფთავების მოსაკრებლის დარიცხვის გათავისუფლებისაგან, მოსაკრებლის გადახდევინებისათვის პასუხისმგებელ სამსახურთან ან საამისოდ უფლებამოსილ იურიდიულ პირთან განაცხადის შეტანის გზით.

მომხსენებელმა ასევე ისაუბრა, პროექტის საფინანსო–ეკონომიკური გაანგარიშების ნაწილზე და მიუთითა, რომ **მოსაკრებლის დარიცხვა შესაძლებელია შეუწყდეს დაახლოებით 14 000-ზე მეტ კატეგორიას** (9300-ზე მეტი აბონენტი) და დადგენილების პროექტის დამტკიცებით, **მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი ვერ მიიღებს დაახლოებით 861565 (რვაას სამოცდაერთი ათას ხუთას სამოცდახუთი) ლარს.**

აზრი გამოთქვეს:

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის წევრმა ვახტანგ შაქარიშვილმა დადებითად შეაფასა, მიმდინარე მოვლენების გათვალისწინებით, ბიზნესის ხელშემწყობი ღონისძიებები, მაგრამ ასევე აღნიშნა, რომ ელექტრონული სათამაშო ბიზნესის შემთხვევაში არ უნდა გავრცელდეს აღნიშნული შეღავათები, ვინაიდან, „ონლაინ კაზინოები" საგანგებო მდგომარეობის აკრძალვების მიუხედავად, მაინც ახორციელებდნენ საქმიანობას.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის თავმჯდომარემ, გამოთქმულ მოსაზრებასთან დაკავშირებით, განმარტა, შემდეგი: ვინაიდან, ქ. თბილისის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N17-46 დადგენილების მოქმედი რედაქციით დამტკიცებული ინსტრუქციის მე–4 მუხლის მე–3 პუნქტის თანახმად, მოსაკრებლის გადახდის ვალდებულება წყდება ნარჩენების წარმომქმნელთა მიერ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში ნარჩენების წარმოქმნის შეწყვეტისთანავე, ხოლო, საგანგებო მდგომარეობიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში, დაწესებულებებს, ორგანიზაციებს, ინდივიდუალურ მეწარმეებს და იურიდიულ პირებს დროებით შეეზღუდათ საქმიანობის განხორციელების უფლებამოსილება და შესაბამისად, არ წარმოქმნიან ნარჩენებს, დადგენილების პროექტი, შესაძლებლობას აძლევს ასეთ სუბიექტებს, საგანგებო მოქმედების პერიოდში

გათავისუფლდნენ დასუფთავების მოსაკრებლის გადახდისაგან. მანვე დაამატა, რომ მოქმედი დადგენილებით გამიჯნული კაზინოები მათი ონლაინ და არაონლაინ მომსახურების მიწოდების კუთხით არ არის, შესაბამისად მხოლოდ ონლაინ კაზინოების გამოყოფა ამ შეღავათისას გარკვეულწილად დისკრიმინაციად და დადგენილების დანაწესიდან გადახვევად შესაძლოა აღქმულიყო.

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ დადებითად შეაფასა წამოდგენილი დადგენილების პროექტით გათვალისწინებული საკითხი.

ამასთან, კომისიის თავმჯდომარემ **ბატონმა ლევან ჟორჟოლიანმა ისაუბრა, პროექტთან დაკავშირებულ შემდეგ შენიშვნებზე:**

მიზანშეწონილია, რომ პროექტის სამართლებრივი საფუძვლებიდან ამოღებულ იქნას საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 93–ე მუხლის მე–2 პუნქტი, ვინაიდან, აღნიშნული პუნქტი ადგენს, რომ ადგილობრივი მოსაკრებლის ოდენობას (განაკვეთს) განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის საკრებულო. ხოლო, წარმოდგენილი დადგენილების პროექტი ითვალისწინებს, შესაბამისი სუბიექტების დასუფთავების მოსაკრებლისაგან გათავისუფლების საკითხს.

გადაწყვიტეს:

ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა ლილე ლიპარტელიანმა თავი შეიკავა წარმოდგენილი დადგენილების პროექტთან დაკავშირებით ხმის მიცემისაგან, ხოლო იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და **მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით,** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

3. იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ ბატონმა ლევან ჟორჟოლიანმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქ. თბილისში, თამარაშვილის ქუჩა N13ა, N13ბ, N13გ (ს/კ N01.14.14.001.121, N01.14.14.001.122, N01.14.14.001.123) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით შპს ,,იქსორი თამარაშვილზე"- თვის (ს/ნ 405210711) ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

ბატონმა ლევანმა აღნიშნა, რომ განკარგულების პროექტი, ქ. თბილისის მთავრობის შესაბამის განკარგულებასთან და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი კომისიის სხდომის N3 ოქმიდან ამონაწერთან ერთად წარმოდგენილ იქნა, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის **N59** დადგენილებით დამტკიცებული „ტექნიკური რეგლამენტი - „დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებები"–ს **35–ე მუხლის გათვალისწინებით, რითაც დადგენილია, დაუმთავრებელი მშენებლობების**

დასრულებისათვის საჭირო დროებითი ღონისძიებები ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.

მომხსენებლის მითითებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველ კომისიას განცხადებებით მიმართა **კომპანიამ „იქსორი თამარაშვილზე"** და მოითხოვა მისამართზე - ქ. თბილისი, თამარაშვილის ქუჩა N13ა, N13ბ, N13გ (ს/კ N01.14.14.001.121, N01.14.14.001.122, N01.14.14.001.123) **არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენება.** ამასთან, დასძინა, რომ კომისიის მიერ, წარდგენილი საკითხისა და დამატებით მოთხოვნილი დოკუმენტაციის სრულყოფილად შესწავლის შემდგომ, 2020 წლის 25 თებერვლის სხდომაზე **გამოიკვეთა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:**

ა) მშენებლობის ნებართვა გაცემულია ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქოსამსახურის 2005 წლის 12 აპრილის N5/53 ბრძანებით. ნებართვის ფარგლებში, სამშენებლო ობიექტზე მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი – კ-2 =6.0;

ბ) წარმოდგენილი დაზარალებული 326 პირის სიაში ასევე მითითებულია იურიდიული პირებიც, ხოლო გადასაცემი ქონების ჯამური ფართობი წარმოადგენს 29 471,3კვ.მ-ს.

მომხსენებელმა განავრცო თხრობა და ისაუბრა დაუმთავრებელიმშენებლობისათვის შემდეგი ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებაზე, რაც ითხოვა დაინტერესებულმა პირმა:

ა)მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის **კოეფიციენტის (კ-2) გადამეტება 14.5-მდე;**

ბ) კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის ეტაპზე **გარკვეული პირობების დადგენა** ქ.თბილისის საკრებულოს 2001 წლის 1 აგვისტოს **N8-13 გადაწყვეტილებით** დამტკიცებული **„წესების" 2006 წლის რედაქციის შესაბამისად, კერძოდ:**

გ) კოეფიციენტის დათვლის ნაწილში გათვალისწინებული იყოს „წესების" მე-18 მუხლი და **კ2-ის გაანგარიშებისას არ იქნას შეყვანილი აივნები, ტერასები, კიბის უჯრედები, ლიფტები და სხვა.**

დ) მეზობელ **მიწის ნაკვეთზე არქიტექტურული ფრაგმენტით გადასვლის შესაძლებლობა მეზობლის თანხმობის შემთხვევაში დადგენილ იქნეს „წესების" შესაბამისად.**

ე) შენობის **სიმაღლის განსაზღვრისათვის გამოყენებულ იქნას „წესების" 21-ე მუხლით გათვალისწინებული შინაარსი;**

ვ) პროექტის რენტაბელურობის მიზნით, **ავტოფარეხების დაპროექტებისას მოხდეს მინიმუმ 600 ერთეული პარკინგის გათვალისწინება მთელს პროექტში.** ამასთან, ავტოფარეხებისა დასავალი ნაწილის ზომები გათვალისწინებულ იქნეს დღეს მოქმედი რეგულაციების მიხედვით;

ზ) პროექტის თანამედროვე სტანდარტებთან მორგების მიზნით, **მომიჯნავე მიწის ნაკვეთების გაერთიანების შემთხვევაში გამოყენებულ იქნას ზემოხსენებული ხელშემწყობი ღონისძიებები;**

მომხსენებელმა ასევე დაამატა, რომ დაინტერესებული პირი - შპს ,,იქსორი თამარაშვილზე" პროექტის რენტაბელურობის გადამწყვეტი ფაქტორიად მიიჩნევს „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების" დამტკიცებისთაობაზე" საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის ნაწილობრივ გამოყენებას **და** მზაობას გამოთქვამს, მშენებლობის ნებართვა მიიღოს აღნიშნული დადგენილების შესაბამისად, გარდა იმ ნორმებისა, რომელიც ეხება ღიობების გამოჭრის, მიჯნის ზონაში შენობა-ნაგებობის განთავსებისა და გაბარიტების განსაზღვრის ნაწილს;

ბატონმა ლევანმა აგრეთვე ისაუბრა იმ არგუმენტებზე, რითაც კომპანია ასაბუთებს, მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2-ის) გადამეტების საჭიროებას, კერძოდ:

ა) შპს „არკოს" კონსტრუქციული დასკვნის შესაბამისად, **თამარაშვილის №13ა, №13ბ, №13–ში უნდა განხორციელდეს არსებული შენობა- ნაგებობის ორივე ბლოკის დემონტაჟი;**

ბ) **დაზარალებული პირები უნდა დაკმაყოფილდეს ფართების გადაცემის გზით.**

გ) **შენობა-ნაგებობას,** თამარაშვილის ქუჩის მხრიდან შესასვლელი გზის გარდა, **ესაჭიროება დამატებითი სატრანსპორტო ქსელის/გზის მოწყობა ჭაბუა ამირეჯიბის გზატკეცილთან დასაკავშირებლად.** დამატებითი გზის მოსაწყობად დაინტერესებული პირი გეგმავს მიმდებარე მიწის ნაკვეთის შესყიდვას (ჯამურად - 8500კვ.მ), მიწის ნაკვეთის ნაწილზე სატრანსპორტო გზის, ხოლო დარჩენილ მიწაზე (დაახლოებით 7500 კვ.მ) საზოგადოებრივი სარეკრეაციო სივრცის მოწყობას. დაინტესებული პირის მითითებით, სარეკრეაციო სივრცე საკუთრებაში გადაეცემა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტს.

ლევან ჟორჟოლიანმა მიუთითა, რომ დაინტერესებული პირის განმარტებით, სამშენებლო ხარჯი შეადგენს კვადრატულ მეტრზე მინიმუმ 400 აშშდოლარს, ხოლო სარეალიზაცი ოფასი - კვადრატულ მეტრზე - 1100 აშშ დოლარს. აგრეთვე დასძინა, რომ **კომისიამ გაითვალისწინა ყველა არსებული ფაქტობრივი გარემოება და გასცა დადებითი რეკომენდაცია,** ქ. თბილისი, თამარაშვილისქუჩა №13ა, №13ბ, №13გ–ში არსებული სამშენებლო ობიექტის მიმართ გამოყენებულ იქნეს დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის ხელშემწყობი ღონისძიებები.

მომხსენებელმა აგრეთვე აღნიშნა, რომ ყველა არსებული ფაქტობრივი გარემოების გათვალისიწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველ კომისიამ, საკითხთან დაკავშირებით ქ. თბილისის მთავრობას მიმართა დადებითი რეკომენდაციით, ხოლო, ქ. **თბილისის მთავრობამ იმსჯელა და გადაწყვიტა, ქ. თბილისის საკრებულოს თანხმობის გაცემის შემთხვევაში,** საკითხთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი დოკუმენტაციის გათვალისწინებით, ქ. თბილისი, თამარაშვილის ქუჩა №13ა, №13ბ, №13გ–ში არსებული **დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის განისაზღვროს შემდეგი ხელშემწყობი ღონისძიებები:**

ა) მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის **კოეფიციენტი განისაზღვროს - (კ-2)- 14.5-ით;**

ბ) არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის ეტაპზე გარკვეული პირობები დადგინდესქ. თბილისის საკრებულოს 2001 წლის 1 აგვისტოს N8-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „წესების“ 2006 წლის რედაქციის შესაბამისად, კერძოდ:

გ) კოეფიციენტის დათვლისას გათვალისწინებულ იქნას „წესების“ მე-18 მუხლი და კ2-ის გაანგარიშებისას არ იქნას შეყვანილი აივნები, ტერასები, კიბის უჯრედები, ლიფტები და სხვა;

დ) მეზობელ მიწის ნაკვეთზე არქიტექტურული ფრაგმენტით გადასვლის შესაძლებლობა მეზობლის თანხმობის შემთხვევაში დადგენილ იქნეს „წესების“ შესაბამისად;

ე)) შენობის სიმაღლის განსაზღვრისათვის გამოყენებული იქნას „წესების“ 21-ე მუხლით გათვალისწინებული შინაარსი;

ვ) ავტოფარეხების დაპროექტებისას მოხდეს მინიმუმ 600 ერთეული პარკინგის გათვალისწინება. ამასთან, ავტოფარეხებისა და სავალი ნაწილის ზომები განისაზღვროს დღეს მოქმედი რეგულაციების მიხედვით;

ზ) თანამედროვე სტადარტებთან შესაბამისობის მიზნით, მომიჯნავე მიწის ნაკვეთების გაერთიანების შემთხვევაში, აღნიშნულ მიწის ნაკვეთებზე გამოყენებულ იქნას ზემოხსენებული ხელშემწყობი ღონისძიებები;

თ) გეგმარებითი დავალების, განაშენიანიანების რეგულირების გეგმის და არქიტექტურული პროექტის შეთანხმების შემდეგ, მშენებლობის ნებართვის გაცემის ეტაპზე, დაინტერესებულმა პირმა წარმოადგინოს კანონმდებლობის შესაბამისად ლიცენზირებული აუდიტორის დასკვნა სამშენებლო ხარჯთან და ფართების სარეალიზაციო ფასებთან მიმართებაში.

ი)არქიტექტურული **პროექტის შეთანხმების ეტაპზე დაინტერესებულმა პირმა წარადგინოს საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა ცენტრალურ გზებთან წვდომით;**

კ) სარეალიზაციო ფართების განკარგვა და უფლებრივად დატვირთვა (მათ შორის, იპოთეკა) დასაშვებია მხოლოდ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი კომისიის 2020 წლის 25 თებერვლის N3 სხდომის ოქმში მითითებულ დაზარალებულთა მიმართ ვალდებულებების შესრულებისათვის საჭირო შესაბამისი სამშენებლო ფართის მშენებლობის დასრულების შემდეგ. ამასთან, დაინტერესებულ პირს უფლება აქვს განახორციელოს მხოლოდ იმ სარეალიზაციო (თავისუფალი) ფართების განკარგვა/უფლებრივად დატვირთვა, რომელსაც ააშენებს და მოიყვანს არანაკლებ**კარკასულ მდგომარეობაში,** შესაბამისი წესით;

ლ) მისამართზე - თამარაშვილის N13 ა, N13ბ, N13გ არსებული სამშენებლოობიექტის მიმდებარე მიწის ნაკვეთებზე (7500 კვ.მ) მოეწყოს ქ. თბილისის მერიასთან შეთანხმებული დენდროლოგიური პროექტის შესაბამისად, სარეკრეაციო სივრცე დასაკუთრებაში გადაეცეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს მშენებლობის ექსპლუატაციაში მიღებამდე;

ნ) თუ პროექტით განსაზღვრული სამშენებლო ხარჯი იქნება კვადრატულ მეტრზე 400 აშშ დოლარზე ნაკლები ან/და სარეალიზაცი ოფასი - კვადრატულმეტრზე - 1100 აშშ დოლარზე

მეტი ან/და აუდიტორული დასკვნის შესაბამისად, პროექტის სუფთა მოგება იქნება 20%-ზე მეტი, ეს შესაძლებელია გახდეს წინამდებარე გადაწყვეტილების შეცვლის საფუძველი;

მომხსენებელმა აგრეთვე განმარტა, რომ ქ. თბილისის მთავრობის შესაბამისი განკარგულებით აგრეთვე განისაზღვრა შემდეგი: სსიპ - ქონების მართვის სააგენტო,მისამართზე - ქ. თბილისი, თამარაშვილის ქუჩა N13ა, N13ბ, N13გ არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებასთან დაკავშირებით, საკითხის საკრებულოსთან შეთანხმების შემთხვევაში, მოამზადებს და დაინტერესებულ პირთან გააფორმებს ხელშეკრულება შესაბამის შეზღუდვებთან დაკავშირებით, რაც რეგისტრირებულ უნდა იქნას საჯარო რეესტრის უძრავი ქონებების ამონაწერებში. აღნიშნული ხელშეკრულება უნდა გაფორმდეს და შეზღუდვა დარეგისტრირებულ იქნას შესაბამისი მშენებლობის ნებართვის გაცემამდე ან მშენებლობის ნებართვის გაცემის შემდეგ, თუმცა არაუგვიანეს ნებართვის საფუძველზე ინდივიდუალური (განშლილი) ფართების საჯარო რეესტრში რეგისტრაციამდე, მხოლოდ იმ პირობით, რომ აღნიშნული ხელშეკრულების გაფორმება (შეზღუდვის რეგისტრაცია) განისაზღვრება შესაბამისი მშენებლობის ნებართვის პირობად

3) დაინტერესებულმა პირმა - შპს ,,იქსორი თამარაშვილზე" სარეალიზაციო ფართობების განკარგვა მოახდინოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსთან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების მიხედვით.

გადაწყვიტეს:

ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა ლილე ლიპარტელიანი მხარი არ დაუჭირა წარმოდგენილი განკარგულების პროექტს, ხოლო იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

4. იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის **კომისიის თავმჯდომარემ ბატონმა ლევან ჟორჟორლიანმა** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქ. თბილისში, ნიკოლოზ ყიფშიძის ქუჩა N1 (ს/კ N01.14.14.003.122) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით შპს ,,გუმბათი ჰოლდინგი+"-ისთვის (ს/კ 404582073) ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

ბატონმა ლევანმა განმარტა, რომ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი შემუშავებულ იქნა, „ტექნიკური რეგლამენტის - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანები რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის **N59** დადგენილებით დამტკიცებული „ტექნიკური რეგლამენტი - „დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების" 35-ე მუხლზე დაყრდნობით, რაც ითვალისწინებს, დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისათვის საჭირო დროებით ღონისძიებებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.

მომხსენებელის მითითებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი კომისიას განცხადებებით მიმართა შპს,,გუმბათი ჰოლდინგი+"-მა (ს/კ 404582073) და შპს ,,გუმბათი ჰოლდინმა" (ს/კ 404473431) **და ითხოვეს, მისამართზე - ქ. თბილისი, ნიკოლოზ ყიფშიძის ქუჩა N1 (ს/კ N01.14.14.003.122) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენება.**

ლევან ჟორჟოლიანმა აღნიშნა, რომ კომისიის მიერ, საკითხის სრულყოფილად შესწავლის შემდგომ, **გამოიკვეთა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:**

ა) მისამართზე - ქ. თბილისი, ნიკოლოზყიფშიძისქუჩა N1 (ს/კ N01.14.14.003.122) **2007 წლის 26 იანვარს გაიცა №6/40 მშენებლობის ნებართვა;**

ბ) არსებული ქალაქმშენებლობითი პირობების ფარგლებში სამშენებლო ობიექტზე განისაზღვა შემდეგი კოეფიციენტები: **კ-1 = 0.4** და**კ-2 = 5.1;**

გ) დაუმთავრებელი მშენებლობის შედეგად დაზარალებულ იქნა სულ 190 პირი, მათ შორის, 128 პირი არის ბმა ამხანაგობა ,,ბაგები-502-ის" წევრი, ხოლო 62 მყიდველი, რომელთაც 2005-2007 წლებში ამხანაგობა ,,ბაგები 504"-სგან იყიდეს ფართები.

გ.ბ) საქართველოს **ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი კორესპონდეციის თანახმად, N502 საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის მიმართ კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუმთავრებლობით წარმოქმნილია სახელმწიფო დავალიანება.**

მომხსენებელმა განაგრძო თხრობა და მიუთითა, რომ ჯამში დაზარალებულებისთვის გადასაცემი ფართი შეადგენს - 25 430.96 კვ.მეტრს, ამასთან, ,,ბაგები 504"-სა და შპს ,,გუმბათი ჰოლდინგი+-ს" შორის 2019 წლის 2 აგვისტოს გაფორმებული დანოტარიულად დამოწმებული ნარდობის ხელშეკრულების დანართი N1 შეიცავს მენარდის მიერ შესასრულებელ შესაბამის ვალდებულებებს.

ბატონმა ლევანმა ისაუბრა **დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის იმ ხელშემწყობი ღონისძიებების შესახებ, რისი გამოყენებაც ითხოვა შპს ,,გუმბათი ჰოლდინგი +"–მა.**

- მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის გაზრდას 5.6-მდე;
- პროექტის კორექტირება და პროექტით განსაზღვრულ არსებულ შენობებზე სიმაღლის დამატება 11-12 მეტრით.

მომხსენებელმა დასძინა, რომ საკითხთან დაკავშირებით, კომისიის მიერ გაცემულ იქნა დადებითი რეკომენდაცია, ხოლო, ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მთავრობამ იმსჯელა და ქ. თბილისის საკრებულოს მიერ თანხმობის გაცემის შემთხვევაში, მიზანშეწონილად მიიჩნია შპს ,,გუმბათი ჰოლდინგი+"-ს (ს/კ 404582073) თხოვნის დაკმაყოფილება და ნიკოლოზ ყიფშიძის ქუჩა N1 არსებული **დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის განესაზღვროს შემდეგი ხელშემწყობი ღონისძიებები:**

ა) შეთანხმდეს კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცეს მშენებლობის ნებართვა მიწის ნაკვეთის განაშენების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტებით არაუმეტეს კ-2=5.4-სა, სიმაღლის განსაზღვრის სქემის დაუცველად;

ბ) არქიტექტურული პროექტის შეთანხმების ეტაპზე დაინტერესებულმა პირმა უნდა წარადგინოს საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა ცენტრალურ გზებთან წვდომით;

გ) სარეალიზაციო ფართების განკარგვა და უფლებრივად დატვირთვა (მათ შორის, იპოთეკა) დასაშვებია მხოლოდ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი კომისიის 2020 წლის 11 მარტის N4 სხდომის ოქმში მითითებულ დაზარალებულთა მიმართ ვალდებულებების შესრულებისათვის საჭირო შესაბამისი სამშენებლო ფართის მშენებლობის დასრულების შემდეგ.ამასთან, დაინტერესებულ პირსუფლება აქვს განახორციელოს მხოლოდ იმ სარეალიზაციო (თავისუფალი) ფართების განკარგვა/ უფლებრივად დატვირთვა, რომელსაც ააშენებს და მოიყვანს არანაკლებ კარკასულ მდგომარეობაში,შესაბამისი წესით.

დ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტო, ქ. თბილისის საკრებულოს მიერ თანხმობის გაცემის შემთხვევაში, მოამზადებს და დაინტერესებულ პირთან გააფორმებს ხელშეკრულება შესაბამის შეზღუდვებთან დაკავშირებით, რომელიც რეგისტრირებულ უნდა იქნას საჯარო რეესტრიდან შესაბამისი უძრავი ქონებების ამონაწერებში. აღნიშნული ხელშეკრულება უნდა გაფორმდეს და შეზღუდვა დარეგისტრირებულ იქნას შესაბამისი მშენებლობის ნებართვის გაცემამდე ან მშენებლობის ნებართვის გაცემის შემდეგ, თუმცა არაუგვიანეს ნებართვის საფუძველზე ინდივიდუალური (განშლილი) ფართების საჯარო რეესტრში რეგისტრაციამდე, მხოლოდ იმ პირობით, რომ აღნიშნული ხელშეკრულების გაფორმება (შეზღუდვის რეგისტრაცია) განისაზღვრება შესაბამისი მშენებლობის ნებართვის პირობად. ამ პუნქტის „გ" ქვეპუნქტით განსაზღვრული პირობების შესრულება დადასტურებულ უნდა იქნას შესაბამისი საექსპერტო დასკვნით, რომელიც გაცემულ უნდა იქნას სააგენტოსა და დაინტერესებულ პირს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით განსაზღვრული პირ(ებ)ის მიერ;

ე) დაინტერესებულმა პირმა - შპს ,,გუმბათიჰოლდინგი+"-ის (ს/კ 404582073) - სარეალიზაციო ფართობების განკარგვაუნდა მოახდინოს განსაზღვრული პირობების მიხედვით.

აზრი გამოთქვეს:

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ რევაზ სოხაძემ დადებითად შეაფასა დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებით წარმოდგენილი პროექტები.

წარმოდგენილი პროექტების მნიშვნელობაზე აგრეთვე იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ და აღნიშნა, რომ ქ. თბილისის მთავრობის მიერ მოწონებული და საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენილი განკარულების პროექტი ემსახურება შესაბამისი დაუმთავრებელი მშენებლობების გამო რიგი მოქალაქეების ქონებრივი და არამარტო, მდგომარეობის გაუმჯობესებას. ასევე, ხაზი გაუსვა გასაფორმებელი ხელშეკრულების პროექტით გათვალისწინებულ წინაპირობაზე – მშენებელი კომპანია მას შემდეგ განახორციელებს თავისუფალი ფართების რეალიზებას, როდესაც მოხდება ყველა დაზარალებული პირის უძრავი ქონებით დაკმაყოფილება.

გადაწყვიტეს:

ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ლილე ლიპარტელიანი მხარი არ დაუჭირა წარმოდგენილი განკარგულების პროექტს, ხოლო იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

5. **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს ქონების მართვის სამსახურის უფროსმა თამუნა მელიქიშვილმა,** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისში, ერწოს ქ. N15-ის მიმდებარედ არსებული 2500 კვმ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.12.08.010.053) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, ზოია ძაბირაძემ განცხადებით მიმართა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს და მოითხოვა მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების - ქალაქ თბილისში, წყნეთის გზატკეცილის დასაწყისში, ელ. ქვესადგურისა და იმედაძის ქუჩის დასაწყისის მიმდებარედ არსებული 280 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.14.08.005.014) მონაცვლეობა, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული **ქალაქ თბილისში, ერწოს ქ. N15-ის მიმდებარედ 2500 კვმ.** მიწის ნაკვეთში (ს/კ: 01.12.08.010.053).

ქ-ნ თამუნამ დაამატა, რომ განმცხადებლის მითითებით, მას ზემოაღნიშნული ქონება მემკვიდრეობით აქვს მიღებული, და მასზე შეთანხმებული იყო ავტოსერვისის, ავტოსამრეცხაოს და კაფე-პავილიონის მშენებლობის პროექტი, თუმცა ქალაქგეგმარებითი ცვლილებების შედეგად, მიწის ნაკვეთზე გავრცელდა სარეკრეაციო ზონა 1 (რზ–1), რაც მშენებლობის განხორციელებისთვის დამაბრკოლებელ გარემოებას წარმოადგენს. მომხსენებელმა აქვე დაამატა, რომ მითითებულ მიწის ნაკვეთზე აღნიშნული ზონა იყო გათვალისწინებული ახალი გენერალური გეგმის დამტკიცებამდე არსებული გენერალური გეგმებითაც.

ამასთან, საკითხის წარმომდგენის განმარტებით, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილია თბილისის არქიტექტურისა და პერსპექტიული განვითარების საქმეთა დეპარტამენტის მიერ 1998 წელს დამტკიცებული, მოქალაქე ვ. არსენიძისათვის მინი ავტოსერვისის და ავტოსამრეცხაოს მოსაწყობად დამაგრებული 275 კვ.მ. ფართობის მქონე მიწის ნაკვეთის გეგმა და სამშენებლო პასპორტი არქიტექტურულ-გეგმარებით დავალებასთან ერთად.

მომხსენებელმა ასევე ხაზი გაუსვა, საკითხთან დაკავშირებულ შემდეგ დეტალებს:

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის პოზიციის მიხედვითაც სამსახურს შესაძლებლად მიაჩნია თბილისში, ერწოს ქ. N15-ის მიმდებარედ არსებული 2500 კვმ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.12.08.010.053) განკარგვა. ხოლო, გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა თანხმობა განაცხადა მონაცვლების მიზნით, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის ნაწილზე გამწვანებული ფენის მოხსნა.

- სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ**№01.14.08.005.014** საკადასტრო ერთეულის ღირებულება 2019 წლის 25 ივნისის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა **195,615 (ას ოთხმოცდათხუთმეტი ათას ექვსას თხუთმეტი) ლარით** (გათვალისწინებულია ქალაქ თბილისის არქიტექტურისა და პერსპექტიული განვითარების საქმეთა დეპარტამენტის მიერ 1998 წელს გაცემული სამშენებლო პასპორტი „ქ. თბილისში, წყნეთის გზატკეცილის დასაწყისში, ელ. ქვესადგურისა და იმედაძის ქუჩის დასაწყისის მიმდებარედ მოქ. არსენიძის მინიავტოსერვისის და ავტოსამრეცხაოს პროექტის დამუშავებისთვის“ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის 1998 წლის 25 ივნისის N12.25.277 დადგენილება ამ ობიექტების განთავსების სქემის /დისლოკაციის/ შესახებ.), **ხოლო, №01.12.08.010.053** საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების საბაზრო ღირებულება 2019 წლის 3 დეკემბრის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა **682,500 (ექვსას ოთხმოცდაორი ათას ხუთასი)** ლარით.

ქ-ნ თამუნამ მოხსენების დასასრულისაკენ დაამატა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა მიზანშეწონილად მიიჩნევს ზემოხსენებული მიწის ნაკვეთების მონაცვლეობის თხოვნის დაკმაყოფილებას და ზოია ძაბირიძისათვის N01.12.08.010.053 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის გადაცემის სანაცვლოდ, N01.14.08.005.014 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში მიღებას, ვინაიდან მისი ადგილმდებარეობისა და ფუნქციური ზონის გათვალისწინებით, შესაძლოა დღის წესრიგში დადგეს ტერიტორიის გამწვანებულ, კეთილმოწყობილ სივრცედ განვითარების საკითხი. აღნიშნული მიზნის მიღწევისათვის კი მასზე არსებული კერძო საკუთრების უფლება ხელისშემშლელ გარემოებას წარმოადგენს.

აზრი გამოთქვეს:

ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ლილე ლიპარტელიანმა მიმართა მომხსენებელს, მოქალაქე ზოია ძაბირაძის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მემკვიდრეობით მიღებამდე, 1998 წლის მდგომაროებით გაცემული არქიტექტურული ხასიათის ნებართვის შინაარსთან დაკავშირებით.

მომხსენებელმა უპასუხა, ქალბატონ ლილე ლიპარტელიანის კითხვას და აღნიშნა, რომ მოქალაქე ზოია ძაბირაძის მიერ საკუთრებაში არსებულს უძრავ ქონებაში, მის მემკვიდრეობით მიღებამდე, შეთანხმებული იყო ავტოსერვისის, ავტოსამრეცხაოს და კაფე-პავილიონის მშენებლობის პროექტი.

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომიიის თავმჯდომარემ რევაზ სოხაძემ, ურბანული თვალსაზრისით დადებითად შეაფასა განკარგულების პროექტით წარმოდგენილი საკითხი.

ამასთან, კომისიის თავმჯდომარემ **ლევან ჟორჟოლიანმა ისაუბრა პროექტთან დაკავშირებით არსებულ ხარვეზებზე და აღნიშნა, რომ** მიზანშეწოლია, წარმოდგენილი **განკარგულების პროექტის პირველ მუხლში მიეთითოს საპრივატიზებო საფასური - 487 000** (ოთხას ოთხმოცდაშვიდიათასი) ლარის ოდენობით, ამასთან, პროექტის მე-2 მუხლი გაიმართოს ტექნიკურად.

გადაწყვიტეს:

კომისიის წევრებმა: ალექსანდრე ხუჯაძემ თავი შეიკავა ხმის მიცემისგან. ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ლილე ლიპარტელიამა მხარი არ დაუჭირა წარმოდგენილი განკარგულების პროექტს,

ხოლო იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

6. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს ქონების მართვის სამსახურის უფროსმა თამუნა მელიქიშვილმა, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ თბილისში, ქუჩა კრწანისი, N72-ში მდებარე 1275 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.18.06.015.057) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერს წარედგინა მოქალაქე გიორგი ქუფარაშვილის განცხადებები, რომლითაც ითხოვა, საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, მდებარე, ქ. თბილისი, გლდანის პირველი მ/რ, მე–13 და მე–14 კორპუსების მიმდებარედ 1538 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: N01.11.12.014.080) გაცვლა, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაში, მდებარე: ქ. თბილისი, კრწანისის ქუჩა N72–ში მდებარე 1275 კვ.მ. (ს/კ: N01.18.06.015.057) ამასთან, თანხმობა გამოთქვა, გაცვლას დაქვემდებარებულ მიწის ნაკვეთებს შორის სხვაობის გამოვლენის შემთხვევაში, გადაიხადოს, მუნიციპალიტეტის ორგანოებს შორის განსაზღვრული საპრივატიზებო საფასური, უძრავი ქონების გაცვლის ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთი თვის ვადაში.

მომხსენებლმა კომისიის წევრებს აცნობა, რომ სსიპ – ქონების მართვის სააგენტოში გაგზავნილი, ქ. თბილისის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის დასკვნის თანახმადაც, მოქალაქე გიორგი ქუფარაშვილმა მიმართა სამსახურს და ითხოვდა მის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის (ს/კ: N01.11.12.014.080), რომელზეც მოწყობილი არის სპორტული მოედანი და ეზღუდება უძრავი ქონებით სარგებლობის უფლება, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სხვა მიწის ნაკვეთში გაცვლის საკითხზე მსჯელობას ან შესაბამისი კომპენსაციის მიღებას.

ქ-ნთამუნამ განაგრძო თხრობა და ისაუბრა შემდეგ მნიშვნელოვან გარემობებზე:

- **N01.11.12.014.080 საკადასტრო ერთეულმა რამდენჯერმე განიცადა ფუნქციური ზონის ცვლილება,** ახალი გენერალური გეგმის დამტკიცების შემდგომ, მიწის ნაკვეთის უმეტეს ნაწილს მიენიჭა სარეკრეაციო ზონა 2, ხოლო უმცირეს ნაწილს – საცხოვრებელი ზონა 6.
- **შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის პოზიციით,**თუ თბილისის მთავრობა მიზანშეწონილად მიიჩნევდა N01.11.12.014.080 საკადასტრო ერთეულის

გაცვლას, საზოგადოებრივი ფუნქციის შენარჩუნების მიზნით, მიწის ნაკვეთის ღირებულება უნდა დადგენილიყო თავდაპირველად გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობის – სადღეღამისო ავტოსადგომის განთავსების გათვალისწინებით.

- სსიპ –ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს საექსპერტო დასკვნით, მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული მიწის ნაკვეთი, რომელიც მდებარეობს, ქ. თბილისში, კრწანისის ქუჩა N72–ში, 1275 კვ.მ. ფართი (ს/კ: N01.18.06.015.057), არის არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების, განეკუთვნება საცხოვრებელ ზონა 2–ს, 2020 წლის 16 მარტის მდგომარეობით შეადგენს 383 775 (სამას ოთხმოცდასამი ათას შვიდას სამოცდათხუთმეტი) ლარს, 1 კვ.მ. ღირებულება შეადგენს –301 ლარს. ამასთან, აღსანიშნავია, რომ მიწის ნაკვეთის 425 კვ.მ. დატვირთულია სერვიტუტის უფლებით, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს უძრავი ქონების ღირებულებაზე.მიწის ნაკვეთის მიმართ განისაზღვრა პირობა – **მიწის ნაკვეთის განკარგვა განხორციელდეს დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად, რაც ასევე გათვალისწინებულია შეფასებისას.**
- **ქ. თბილისის საკრებულოს 2016 წლის პირველი აპრილის N85 განკარგულებით დამტკიცებულ იქნა ქ. თბილისში, კრწანისის ქუჩა N72 და 74–ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: N01.18.06.015.057; N01.18.06.015.153) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი.**
- მოქალაქე **გიორგი ქუფარაშვილის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება მდებარე: ქ. თბილისი, გლდანის პირველი მ/რ, N13 და N14 კორპუსების მიმდებარე, ს/კ: N01.11.12.014.080,** მიწის ნაკვეთი განეკუთვნება სარეკრაციო ზონა 2–ს. უმცირესი ნაწილი წარმოადგენს საცხოვრებელ ზონა 6–ს. თუმცა დამკვეთის მოთხოვნის შესაბამისად, მიწის ნაკვეთი ფასდება 2014–2018 წლების მდგომარეობით, კერძოდ, საცხოვრებელი ზონა 6–ით,**სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის ეროვნული ბიუროს დასკვნით, 1 კვ.მ. ღირებულება განისაზღვრა 178 ლარის ოდენობით, ხოლო, 1538 კვ.მ. არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის მთლიანი საბაზრო ღირებულება 2019 წლის 19 ნოემბრის მდგომარეობით საორიენტაციოდ შეადგენს 273 764** (ორას სამოცდაცამეტი ათას შვიდას სამოცდაოთხი) **ლარს.**

ქ-ნ თამუნამ ასევე ისაუბრა, რომ სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს წარედგინა მოსაზრებები შემდეგი სტრუქტურული ერთეულების/თანამდებობის პირის მიერ:

- **სსიპ – ურბანული განვითარების სამსახურმა** შესაძლებლად მიიჩნია მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის გაცვლა–განკარგვა, ხოლო, სამშენებლო განვითარება უნდა განხორციელდეს, ქ. თბილისის საკრებულოს 2016 წლის პირველი აპრილის განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად.
- ქ. თბილისის მერიის **კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გლდანის რაიონის გამგეობა და გლდანის რაიონის მაჟორიტარი, სააგენტოში შესაბამის პერიოდში წარდგენილი წერილებით,** მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის გათვალისწინებით, დადებითად აფასებენ N01.11.12.014.080 საკადასტრო ერთეულზე სპორტული ინფრასტრუქტურის შენარჩუნებას.

მოხსენების დასასრულისკენ, ქ-ნ თამუნამ მიუთითა, რომქ. თბილისის მთავრობამ იმსჯელა და მიზანშეწონილად მიიჩნია, ქ. თბილისის საკრებულოსთვის, მოქალაქე გიორგი ქუფარაშვილის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის, მდებარე. გლდანის პირველი მ/რ, N13 და N14 კორპუსების მიმდებარედ, 1538 კვ.მ. მიწის ნაკვეთის N01.11.12.014.080, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავ ქონებაში, მდებარე: ქ. თბილისი, კრწანისის ქუჩა N72, 1275 კვ.მ მიწის ნაკვეთში ს/კ: N01.18.06.015.057, **საპრივატიზებო საფასურით 111 000 (ასთერთმეტი ათასი) ლარის ოდენობით,** გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პროექტის შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვეს:

ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა ლილე ლიპარტელიანმა კითხვებით მიმართა მომხსენებელს, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, გაცვლას დაქვემდებარებული უძრავი ქონების შერჩევის კრიტერიუმთან, ასევე, აღნიშნული უძრავი ქონების საბაზრო ღირებულების შესახებ და საექსპერტო დაწესებულების მიერ, მიწის შეფასებისას რამდენად იქნა გათვალისწინებული, აღნიშნულ უძრავ ქონებაზე დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმა.

მომხსენებელმა განმარტა, რომ მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საბაზრო ღირებულება დადგენილ იქნა სსიპ – ლევან სამხარაულის საექსპერტო ბიუროს მიერ, დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმისა და მიწის ნაკვეთის ნაწილზე დარეგისტრირებული სერვიტუტის გათვალისწინებით.

ამასთან, მომხსნებელმა დაამატა, რომ გიორგი ქუფარაშვილის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაში გაცვლის შესაძლებლობის საკითხზე, ქ. თბილისის მთვარობამ იმსჯელა, აღნიშნულ უძრავ ქონებაზე განთავსებული საფეხბურთო მოედანისა და მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის გათვალისწინებით.

ამასთან, კომისიის თავმჯდომარემ **ლევან ჟორჟოლიანმა აღნიშნა, რომ განკარგულების პროექტი სამართლებრივად ძირითადად გამართულია, თუმცა** მიზანშეწონილად მიიჩნია, პროექტის პირველი პუნქტში უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასურის საპრივატიზებო საფასური 111 000 (ასთერთმეტი ათასი) ლარის მიეთითება და აღნიშნული პუნქტის შესაბამისი რედაქციით ჩამოყალიბება.

გადაწყვიტეს:

ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა ლილე ლიპარტელიანი მხარი არ დაუჭირა წარმოდგენილი განკარგულების პროექტს, ხოლო იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

7. **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული სამსახურის უფროსმა მარიამ კვერნაძემ,** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა

დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, "ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის N19-72 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებელმა ისაუბრა ქ. თბილისის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის N19-72 დადგენილებაში ცვლილების საჭიროებაზე და აღნიშნა, რომ საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში" 2020 წლის 23 აპრილს განხორციელებული ცვლილებით კოდექსს დაემატა შემდეგი შინაარსის 163³ მუხლი, რომლის მიხედვითაც, 2020 წელს გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობიდან გამომდინარე, ქ. თბილისის მთავრობა უფლებამოსილი გახდა, საგანგებო მდგომარეობის დროს ან მისი გაუქმების შემდეგ, არაუგვიანეს 2021 წლის 1 იანვრისა, მიმართოს თბილისის საკრებულოს აუქციონის ფორმით პრივატიზებული თბილისის ქონების შემძენისთვის, სარგებლობის უფლებით გადაცემული ან მართვის უფლებით გადაცემული თბილისის ქონების მიმღებისთვის ამ ქონებასთან დაკავშირებული საინვესტიციო პირობის შეცვლის ან გაუქმების ან/და ფინანსური პირობის შეცვლის შესახებ."

მომხსენებელმა დაამატა, რომ აღნიშნული ცვლილების გათვალისწინებით, საკრებულოს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის საქართველოს ორგანული კანონთან „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" თანხვედრის მიზნით, შემუშავებულ იქნა დადგენილების პროექტი, რომლითაც „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის N19–72 დადგენილებით დამტკიცებული წესის 27–ე მუხლს ემატება მე–3 პუნქტი, შემდეგი სახით:

- „3. 2020 წელს გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა უფლებამოსილია საგანგებო მდგომარეობის დროს ან მისი გაუქმების შემდეგ, არაუგვიანეს 2021 წლის 1 იანვრისა, მიმართოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აუქციონის ფორმით პრივატიზებული თბილისის ქონების შემძენისთვის, სარგებლობის უფლებით გადაცემული ან მართვის უფლებით გადაცემული თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების მიმღებისთვის ამ ქონებასთან დაკავშირებული საინვესტიციო პირობის შეცვლის ან გაუქმების ან/და ფინანსური პირობის შეცვლის შესახებ.

გადაწყვიტეს:

ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა ლილე ლიპარტელიანმა თავი შეიკავა წარმოდგენილი დადგენილების პროექტთან დაკავშირებით ხმის მიცემისაგან, ხოლო იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

8. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული სამსახურის უფროსმა მარიამ კვერნაძემ,** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მერის მიერ

წარმოდგენილი, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის N19-78 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 163[3] მუხლის დამატებამ განაპირობა, ქ. თბილისის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის N19-78 დადგენილებაში, როგორც კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტში ცვლილების შეტანის საჭიროება, აღნიშნულ კოდექსთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.

ქ-ნ მარიამმა ასევე დაამატა, რომ ზემოაღნიშნული გათვალისწინებით ქ. თბილისის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის N19-78 დადგენილებით დამტკიცებულ „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის“ მე-14 მუხლს ემატება შემდეგი შინაარსის 3[1] პუნქტი::

„3[1]. 2020 წელს გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობიდან გამომდინარე, თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა უფლებამოსილია საგანგებო მდგომარეობის დროს ან მისი გაუქმების შემდეგ, არაუგვიანეს 2021 წლის 1 იანვრისა, მიმართოს თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აუქციონის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემული ან მართვის უფლებით გადაცემული თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების მიმღებისთვის ამ ქონებასთან დაკავშირებული საინვესტიციო პირობის შეცვლის ან გაუქმების ან/და ფინანსური პირობის შეცვლის შესახებ.“

გადაწყვიტეს:

ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ლილე ლიპარტელიანმა თავი შეიკავა წარმოდგენილი განკარგულების პროექტთან დაკავშირებით ხმის მიცემისაგან, ხოლო იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

9. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული სამსახურის უფროსმა მარიამ კვერნაძემ, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ღია კაფეს მოწყობის მიზნით გადაცემული მიწის ნაკვეთების მოიჯარეთა მიმართ ზოგიერთი ხელშემწყობი ღონისძიების განხორციელების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის უფლებით, ღია კაფეს მოწყობის მიზნით გადაცემული მიწის ნაკვეთების მოიჯარეთათვის ხელშემწყობი ღონისძიების განხორციელების ინიციატივა განპირობებულ იქნა, ახალი კორონავირუსის გავრცელების

აღკვეთის მიზნით, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობით **გათვალისწინებული შეზღუდვების შედეგად, ქალაქ თბილისში არსებული ღია კაფეს ტიპის დაწესებულებების საგანგებო მდგომარეობის ვადით ფუნქციონირების აკრძალვითა და შედეგად, მოიჯარეების ფინანსური მდგომარეობის მნიშვნელოვნად გაუარესებით.**

ქ-ნ მარიამმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ, დედაქალაქში სამეწარმეო საქმიანობის განვითარების ხელშეწყობის მნიშვნელობის გათვალისწინებით, იმსჯელა და გადაწყვიტა, ქ. თბილისის საკრებულოსთვის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ღია კაფეს მოწყობის მიზნით, პირდაპირი განკარგვის ფორმით, სასყიდლით, იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გაცემული მიწის ნაკვეთების მოიჯარეების მიმართ გარკვეული ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელების საკითხის შესათანმხმებლად წარმოდგენა. აქვე დააზუსტა, რომ 2020 წლის მარტის თვის მდგომარეობით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტსა და მოიჯარეებს შორის გაფორმებულია ჯამში დაახლოებით **153 მოქმედი ხელშეკრულება**.

საკითხის მომხსენებელმა ისაუბრა, პროექტით გათვალისწინებულ შემდეგ მნიშვნელოვან განსახორციელებელ ღონისძიებებზე:

- განკარგულების პროექტი ითვალისწინებს მოიჯარეებისთვის **2020 წლის 1 მარტიდან 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდზე საიჯარო ქირის შემცირებასა და 0 (ნული) ლარით განსაზღვრას.**
- მოიჯარეებს, რომელთაც 2020 წლის 1 მარტიდან პერიოდზე ფაქტობრივად გადახდილი აქვთ საიჯარო ქირა/ქირის ნაწილი, გადახდილი ქირა/ქირის ნაწილი ჩაეთვლებათ მომავალი გადაუხდელი პერიოდის საიჯარო ქირის ანგარიშში, გადახდილი პერიოდის პროპორციულად.
- მოიჯარეებს, რომელთაც გადახდილი აქვთ 2020 წლის 1 მარტიდან პერიოდზე საიჯარო ქირა/ქირის ნაწილი და იჯარის ხელშეკრულების ვადა იწურება 2020 წელს, ხელშეკრულების ვადის ამოწურვამდე დარჩენილ გადაუხდელ პერიოდზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საიჯარო ქირა შეეცვლებათ და განესაზღვრებათ 0 (ნული) ლარის ოდენობით.
- 2020 წლის 1 მარტიდან 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდზე საიჯარო ქირის ოდენობის შემცირების შედეგად, აღნიშნულ პერიოდზე საიჯარო ქირის გადახდასთან დაკავშირებით, მოიჯარეებს **არ დაერიცხებათ პირგასამტეხლო.**
- მოიჯარეს, რომელსაც შესაბამისი იჯარის ხელშეკრულებიდან გამომდინარე დაეკისრა/დაეკისრებოდა პირგასამტეხლო, 2020 წლის 1 მარტიდან 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდზე გათავისუფლდეს დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან. რაც, ასევე, მოიცავს 2020 წლის 1 მარტამდე არსებული ვალდებულების დარღვევისთვის დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოს შემთხვევებს.

მოხსენების დასასრულისაკენ ქ-ნ მარიამმა ისაუბრა პროექტის საფინანსო–ეკონომიკურ გაანგარიშებაზე და მიუთითა, რომ განკარგულების პროექტის მიღების შედეგად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი ვერ მიიღებს 2020 წლის 1 მარტიდან 31 დეკემბრის პერიოდისთვის განსაზღვრულ საიჯარო ქირას ჯამში დაახლოებით **603,000.00 ლარის ოდენობით** (აქედან, ფაქტობრივად გადახდილი საიჯარო ქირა, რომელიც დაექვემდებარება

2021 წლის ანგარიშში ჩათვლას, მარტის მდგომარეობით შეადგენს ჯამში დაახლოებით 18,000.00 ლარს).

აზრი გამოთქვეს:

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა საკითხის მომხსენებელს, პროექტით გათვალისწინებული შეეხება თუ არა იმ სუბიექტებს, რომლებიც სამომავლოდ განიზრახავენ, უფლებამოსილი სამსახურების მიერ შესაბამისი სამართლებრივი აქტების საფუძველზე, პანდემიის არსებობის დროს, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ღია კაფის მოწყობას.

მომხსენებელმა უპასუხა შეკითხვას და აღნიშნა, პროექტით წარმოდგენილი შეღავათი ეხება მხოლოდ იმ ბიზნეს საქმიანობის განმახორციელებელ სუბიექტებს, რომლებსაც გადაცემული აქვთ სარგებლობის უფლებით, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი ღია კაფის მოწყობის მიზნით და შექმნილი ვითარების გამო, შეეზღუდათ საქმიანობის გაგრძელების უფლებამოსილება და განიცადეს მძიმე ფინანსური ზიანი.

ამასთან, მომხსენებელმა დაამატა, რომ სამომავლოდ, შესაბამისი სუბიექტების ინიციატივა, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე ღია კაფის მოწყობისა და აღნიშნული მიზნით სსიპ – ქონების მართვის სააგენტოსადმი მიმართვა, წარმოადგენს მათ თავისუფალ ნებას. ხოლო, ასეთი სუბიექტებისათვის სამომავლოდ რაიმე შეღავათის გაწევის მიზნობრიობის საკითხი ცალკე მსჯელობის საგანია, რასაც შესაბამისი საფუძველი ესაჭიროება.

კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა ლევან ჟორჟოლიანმა დადებითად შეაფასა პროექტით წარმოდგენილი შეღავათი, რაც შესაძლებლობას მისცემს ზემოაღნიშნული საქმიანობის განამახორციელებელ სუბიექტებს, ისარგებლონ შეღავათით, ამასთან აღნიშნა, რომ მიზანშეწონილია, პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში მიეთითოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61–ე მუხლის მე–2 პუნქტი, რომლის თანახმადაც, საკრებულოს ინდივიდუალურ–ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის საკრებულოს განკარგულება.

გადაწყვიტეს:

ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ლილე ლიპარტელიანმა თავი შეიკავა წარმოდგენილი განკარგულების პროექტთან დაკავშირებით ხმის მიცემისაგან, ხოლო იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

10. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული სამსახურის უფროსმა მარიამ კვერნაძემ,** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების მიზნით, სარგებლობის უფლებით გადაცემული უძრავი

ქონების მოსარგებლეთა მიმართ ზოგიერთი ხელშემწყობი ღონისძიების განხორციელების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელმა ისაუბრა, პროექტის მიღების მნიშვნელობაზე და აღნიშნა, რომ 2020 წლის 21 მარტს გამოცემული საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტით, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, საგანგებო მდგომარეობის მოქმედების ვადით, შეიზღუდა რიგი ეკონომიკური საქმიანობები, რაც ასევე გავრცელდა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში მეწარმე სუბიექტებზე და უარყოფითად აისახა მათ ფინანსურ მდგომარეობაზე.

ქ-ნ მარიამმა დასძინა, რომ ზემოაღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ეკონომიკური საქმიანობის მიზნით, აუქციონის ფორმით ან პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით გადაცემული უძრავი ქონების (გარდა ღია კაფეს განთავსების მიზნით გადაცემული ქონებისა) მიმღებთა მიმართ განხორციელდეს გარკვეული ხელშემწყობი ღონისძიებები. აქვე **დააზუსტა, რომ 2020 წლის** მარტის თვის მდგომარეობით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტსა და ასეთ მოსარგებლეებს შორის გაფორმებულია ჯამში დაახლოებით 494 მოქმედი ხელშეკრულება.

მომხსენებელმა ჩამოთვალა ის ხელშემწყობი ღონისძიებები, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ:

- მოსარგებლეებს, რომელთაც 2020 წლის 1 მარტიდან 31 მაისის ჩათვლით პერიოდზე ფაქტობრივად გადახდილი აქვთ სარგებლობის ქირა/ქირის ნაწილი, გადახდილი ქირა/ქირის ნაწილი ჩაეთვლებათ მომავალი გადაუხდელი პერიოდის სარგებლობის ქირის ანგარიშში, გადახდილი პერიოდის პროპორციულად.
- მოსარგებლეებს, რომელთაც გადახდილი აქვთ 2020 წლის 1 მარტიდან პერიოდზე სარგებლობის ქირა/ქირის ნაწილი და სარგებლობის ხელშეკრულების ვადა იწურება 2020 წლის 1 ივნისამდე, ხელშეკრულების ვადის ამოწურვამდე დარჩენილ გადაუხდელ პერიოდზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სარგებლობის ქირა შეეცვლებათ და განესაზღვრებათ 0 (ნული) ლარის ოდენობით.
- გადახდილი სარგებლობის ქირა არ ექვემდებარება დაბრუნებას, რაც, მათ შორის, მოიცავს ისეთ შემთხვევებსაც, თუ გადახდილი სარგებლობის ქირის ჩათვლა იქნება შეუძლებელი ხელშეკრულების ვადის ამოწურვის ან სახელშეკრულებო ურთიერთობის ვადაზე ადრე შეწყვეტის გამო.
- 2020 წლის 1 მარტიდან 31 მაისის ჩათვლით პერიოდზე სარგებლობის ქირის ოდენობის შემცირების შედეგად, აღნიშნულ პერიოდზე სარგებლობის ქირის გადახდასთან დაკავშირებით მოსარგებლეებს არ დაერიცხებათ პირგასამტეხლო.
- **განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, რომ მოსარგებლეს, რომელსაც შესაბამისი** სარგებლობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე დაეკისრა/დაეკისრებოდა პირგასამტეხლო, 2020 წლის 1 მარტიდან 31 მაისის ჩათვლით პერიოდზე გათავისუფლდეს დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან.

მომხსენებელმა გარდა ხელშემწყობ ღონისძიებებთან დაკაშირებით დეტალების დაზუსტებისა, ასევე აღნიშნა, განკარგულების პროექტით გათვალისწინებული ხელშემწყობი ღონისძიები არ გავრცელდება რიგ მეწარმეებზე, მათ შორის:

ა) „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ კომერციულ ბანკებზე საბანკო საქმიანობის განხორციელების მიზნით გადაცემული უძრავი ქონების ნაწილში, გარდა ე.წ. სწრაფი გადახდის აპარატის განსათავსებლად გადაცემული უძრავი ქონებისა;

ბ) „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ სუბიექტებზე საკომუნიკაციო ან/და მასთან დაკავშირებული მომსახურების გაწევის მიზნით გადაცემული უძრავი ქონების ნაწილში;

გ) „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ლიცენზიატებზე, გარდა ელექტროსადგურის მწარმოებელ პირებისა, ამავე კანონით განსაზღვრული ან/და მასთან დაკავშირებული მომსახურებების გაწევის მიზნით გადაცემული უძრავი ქონების ნაწილში;

დ) იმ მოსარგებლეებზე, რომელთაც უძრავი ქონება გადაეცათ პირდაპირ ან ირიბად მასზე გარე რეკლამის განთავსების მიზნით. აღნიშნული პუნქტი გულისხმობს, მათ შორის, ქალაქ თბილისის მასშტაბით არსებულ ავტობუსის მოსაცდელებზე, ფეხით გადასასვლელ ხიდებსა თუ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის/მისი 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების საკუთრებაზე რეკლამის განთავსებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს;

ე) იმ მოსარგებლეებზე, რომელთაც უძრავი ქონების სარგებლობის ქირა განსაზღვრული აქვთ არაფიქსირებული ოდენობით, მაგალითად, როდესაც სარგებლობის ქირა გამომდინარეობს მოსარგებლის თვიური/წლიური შემოსავლის გარკვეული პროცენტიდან.

ქ-ნ მარიამმა ასევე ისაუბრა, პროექტის საფინანსო–ეკონომიკურ გაანგარიშებაზე და აღნიშნა, რომ განკარგულების პროექტის მიღების შედეგად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი ვერ მიიღებს 2020 წლის 1 მარტიდან 31 მაისის პერიოდისთვის განსაზღვრულ სარგებლობის ქირას ჯამში დაახლოებით 859,000.00 ლარის ოდენობით.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ ბატონმა ლევან ჟორჟოლიანმა მიზანშეწონილად მიიჩნია, პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში მიეთითოს **საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი,** რომლის თანახმად, მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტია საკრებულოს განკარგულება.

გადაწყვიტეს:

ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრმა ლილე ლიპარტელიანმა თავი შეიკავა წარმოდგენილი განკარგულების პროექტთან დაკავშირებით ხმის მიცემისაგან, ხოლო იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული

შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

11. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს ქონების მართვის სამსახურის უფროსმა თამუნა მელიქიშვილმა, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, განსაზღვრული მოძრავი ქონების საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ: 204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების შესახებ თანხმობის გაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელის მითითებით, განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების კერძოდ, მერსედესის მარკის (მოდელი 0345) საქალაქო ავტობუსის სათადარიგო ნაწილების, სსიპ - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/კ: 204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხს, რის საფუძველსაც წარმოადგენდა, ქ. თბილისის მერიაში საქართველოს საპატრიარქოს ნეკრესის ეპარქიის მიტროპოლიტმა სერგი ჩეკურიშვილის მიერ წარდგენილი განცხადება, სადაც თხოვნით მიმართავდა მერს, ქ. თბილისის მერიის მიერ, საქართველოს საპატრიარქოს ნეკრესის ეპარქიისთვის გადაცემული მერსედესის მარკის ორი საქალაქო ავტობუსის, რომელიც ემსახურება ნეკრესის ეპარქიაში საგანმანათლებლო დაწესებულებებს,შესაძლებლობისამებრ, სათადარიგო ნაწილების გადაცემას,ამ მარკის ავტობუსების სათადარიგო ნაწილების საქართველოში მოძიების შეუძებლობისა და მათიგამართულადმუშაობის მნიშვნელობის გათვალისწინებით.

ქ-ნ თამუნამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ შპს „თბილისის ტრანსპორტის კომპანიის", ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციისა და სსიპ - რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს მიერ გაცემულ იქნა დადებითი რეკომენდაცია, საქართველოს საპატრიარქოსთვის მოძრავი გადაცემასთან დაკავშირებით, ხოლო, **ყოველივე აღნიშნული გარემოება გათვალისწინებულ იქნა, ქ. თბილისის მთვაროობის მიერ და შესაძლებლად იქნა მიჩნეული,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, საჯაროსამართლისიურიდიულიპირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით, **სიმბოლურის ფასის 1 (ერთი) ლარის სანაცვლოდ პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.**

აზრი გამოთქვეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის **კომისიის თავმჯდომარემ** მიზანშეწონილად მიიჩნია განკარგულების პროექტის პირველ პუნქტში პრივატიზებას დაქვემდებარებული უძრავი ქონების და საპრივატიზებო საფასურის მითითება, ხოლო, პროექტის სათაურში ტექნიკური ხარვეზის გასწორება და შემდეგი რედაქციით ჩამოყალიბება:

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, განსაზღვრული მოძრავი ქონების საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ: 204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების თაობაზე".

გადაწყვიტეს:

ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა ლილე ლიპარტელიანმა თავი შეიკავა წარმოდგენილი განკარგულების პროექტთან დაკავშირებით ხმის მიცემისაგან, ხოლო იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

12. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს ქონების მართვის სამსახურის უფროსმა თამუნა მელიქიშვილმა, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო „ქალაქ თბილისში,დასახლება ვაზისუბანი, კორპუსი N7ᵃ-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.10.002.060.01.505) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ისნის რაიონის გამგეობას განცხადებით მიმართა მოქალაქე მზია ვარაზაშვილმა და ითხოვა მის მიერ ქალაქ თბილისში, დასახლება ვაზისუბანი, კორპუსი N7ᵃ-ში, პირველ სართულზე დაკავებული 103.78 კვ/მ. ფართის დაკანონება, ხოლო, ცხოვრების ფაქტის ნამდვილობასთან დაკავშირებით, დაამატა, რომ აღნიშნული პირი, 2004 წლიდან ნამდვილად ცხოვრობს **დაინტერესებაში არსებულ უძრავ ქონებაში, რაც** დასტურდება, როგორც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქალაქ თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის სამმართველოს წერილით, აგრეთვე, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მასალებს ახლდა მეზობლების ნოტარიულად დამოწმებული აქტით.

ქ-ნ თამუნამ აღნიშნა, რომქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ისნის რაიონის გამგეობამ გაითვალისწინა მოქალაქე მზია ვარაზაშვილის თხოვნა და შუამდგომლობა გაუწია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობასთან, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, 15 (თხუთმეტი) წლის მანძილზე დაკავებული უძრავი ქონების, მდებარე: ქ. **თბილისი, ვაზისუბნის დასახლება კორპუსი N7ᵃ, პირველი სართული ბ.N2ᵃ-ში.103.78**კვ/მ.ფართის **სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად** პრივატიზებასთან დაკავშირებით, ხოლო, ქ. თბილისის მთავრობამ იმსჯელა და მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქ. თბილისის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის **თავმჯდომარემ აღნიშნა განკარგულების პროექტთან დაკავშირებით არსებული შემდეგი შენიშვნები:**

1. მიზანშეწონილია, პროექტის სათაურის ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

„ქალაქ თბილისში, დასახლება ვაზისუბანი, კორპუსი N7›-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.10.002.060.01.505) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე"

2. ამასთან, განკარგულების პირველ პუნქტში მიეთითოს უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასური – სიმბოლური ფასის 1 (ერთი) ლარის სახით. ამასთან, პროექტის მე–2 მუხლი გაიმართოს ტექნიკურად.

გადაწყვიტეს:

ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა ლილე ლიპარტელიანმა თავი შეიკავა წარმოდგენილი განკარგულების პროექტთან დაკავშირებით ხმის მიცემისაგან, ხოლო იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

13 .**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს ქონების მართვის სამსახურის უფროსმა თამუნა მელიქიშვილმა,** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, ქალაქ თბილისში, გლდანის მასივში, II მიკრო/რაიონში, სერვის ცენტრის მიმდებარედ (ნაკვეთი 12/042)(საკადასტრო კოდი:N01.11.12.012.042.01.500*)* მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გლდანის რაიონის გამგეობას განცხადებებით მიმართა მოქალაქე **მთვარისა ჩალიგავამ** და ითხოვა მის მიერ დაკავებული, ქალაქ თბილისში, გლდანის მასივში, II მიკრო/რაიონში, სერვის ცენტრის მიმდებარედ(ნაკვეთი 12/042) (საკადასტრო კოდი: N01.11.12.012.042.01.500) სართული I, მდებარე 53.38 კვ.მ ფართის უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით შუამდგომლობის გაწევა.

ქ-ნ თამუნამ დაამატა, რომ აღნიშნული პირის მიერ დაინტერესებაში არსებულ უძრავ ქონებაში 2007 წლიდან ცხოვრების ფაქტის ნამდვილობა დასტურდება გლდანის რაიონის გამგეობის შესაბამისი საუბნო განყოფილების და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის გლდანი–ნაძალადევის სამმართველოს პოლიციის პირველი განყოფილების მიერ შედგენილი შესაბამისი ოქმებითა და მოქალაქე მთვარისა ჩალიგავას მეზობლების ხელწერილებით.

ამასთან, მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მოქალაქე მთვარისა ჩალიგავას სახელზე უძრავ ნივთებზე საკუთრების უფლება რეგისტრირებული არ არის, რაც, გათვალისწინებულ იქნა გლდანის რაიონის გამგეობის მიერ, სხვა მნიშვნელოვან გარემოებებთან ერთად და ქ.

თბილისის მთავარობას მიმართა შუამდგომლობით, **დაინტერესებული პირისათვის, თვითნებურად დაკავებული, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, მდებარე:** ქ. თბილისი, გლდანის მასივი, II მიკრო/რაიონი, სერვის ცენტრის მიმდებარედ (ნაკვეთი 12/042) სართული I, 53.38 კვ.მ ფართის უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად – 1 (ერთი) ლარად საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით, ასევე დაამატა, რომ ქ. თბილისის მთავრობამ იმსჯელა და მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქ. თბილისის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ მიუთითა წარმოდგენილი განკარგულების პროექტის მიმართ არსებული შენიშვნები: განკარგულების პროექტის სათაურის ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

- "ქალაქ თბილისში, გლდანის მასივში, II მიკრო/რაიონში, სერვის ცენტრის მიმდებარედ (ნაკვეთი 12/042) (საკადასტრო კოდი: N01.11.12.012.042.01.500) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შეთანხმების თაობაზე".
- პროექტის პირველ მუხლში მიეთითოს უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასური 1 (ერთი) ლარის ოდენობით და პროექტის მე–2 მუხლი გაიმართოს ტექნიკურად.

გადაწყვიტეს:

ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა ლილე ლიპარტელიანმა თავი შეიკავა წარმოდგენილი განკარგულების პროექტთან დაკავშირებით ხმის მიცემისაგან, ხოლო იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

14. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს ქონების მართვის სამსახურის უფროსმა თამუნა მელიქიშვილმა, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისში, იპოლიტ-ივანოვის ქუჩა N43-ში (ნაკვეთი 33/073) მდებარე, უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.11.05.033.073.01.023*)* პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის გლდანის რაიონის გამგებელს განცხადებით მიმართა მოქალაქე მამუკა სანიკიძემ და ითხოვა შუამდგომლობის გაწევა, მის მიერ დაკავებული, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, მდებარე: ქ. თბილისი, იპოლიტ–ივანოვის ქუჩა N43 (ნაკვეთი 33/073) 45.63 კვ.მ. ფართის (ს/კ: N01.11.05.033.073.01.023) სიმბოლურ ფასად პრივატიზების მიზნით.

ქ-ნ თამუნამ ასევე ისაუბრა იმ გარემოებაზე, რომ მოქალაქე მამუკა სანიკიძის მიერ, დაინტერესებაში არსებულ უძრავ ქონებაში ცხოვრების ფაქტი (1995 წლიდან) დასტურდება ამხანაგობის „ცხუმი" ნოტარიულად დამოწმებული კრების ოქმით, აგრეთვე, ცხოვრების

ფაქტი დადასტურებულ იქნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის **გლდანი-ნაძალადევის** სამმართველოსა და გამგეობის საუბნო განყოფილების მიერ შედგენილი საოქმო ჩანაწერებით.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, გლდანის რაიონის გამგეობამ, ზემოაღნიშნულ გარემოებებთან ერთად გაითვალისწინა, დაინტერესებული პირის სახელზე, რაიმე უძრავი ქონების არარეგისტრირების ფაქტიც და სსიპ– **ქონების მართვის სააგენტოს მიმართა** შუამდგომლობით, ქალაქი თბილისი, იპოლიტ ივანოვის ქუჩა N 43, სართული მეორე, ბინა N 23; 45.63 კვ.მ ფართის არადევნილის სტატუსის მქონე მოქალაქე მამუკა სანიკიძისთვის **პრივატიზაციის ფორმით, სიმბოლურ ფასად 1 (ერთი) ლარად** გადაცემის შესახებ.

ქ-ნ თამუნამ დასკვნის სახით დაამატა, რომ ქ. თბილისის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მამუკა სანიკიძისთვის სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების საკითხის ქ. თბილისის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა,

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარე, დააფიქსირა შენიშვნები, განკარგულების პროექტის სათაურში სიტყვების „საკითხის შეთანხმების", ხოლო, პირველ მუხლში – საპრივატიზებო საფასურის 1 (ერთი) ლარის ჩამატებასთან, ამასთან, განკარგულების მე–2 მუხლის ტექნიკურად გამართვასთან დაკავშირებით.

გადაწყვიტეს:

ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა ლილე ლიპარტელიანმა თავი შეიკავა წარმოდგენილი განკარგულების პროექტთან დაკავშირებით ხმის მიცემისაგან, ხოლო იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

15. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული სამსახურის უფროსმა მარიამ კვერნაძემ,იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 16 078 კვ.მ. უძრავი ქონების (მდებარე - ქ. თბილისში, ნუცუბიძის ფერდობზე, II მიკრო/რაიონში, I კვარტალში, კორპუსი N8-ის მიმდებარედ, ნაკვ. 007/268 , საკადასტრო კოდი: N01.14.01.007.268) ყოფილი საუწყებო სამშენებლო კოოპერატივი N601-ის უფლებამონაცვლე – ქ. თბილისის ინდივიდუალური ბინათმშენებლობის მენაშენეთა ამხანაგობა „ნუცუბიძის პლატო 601"-ისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 25 ნოემბრის N382 განკარგულებაში ცვლილების შეტანისა და ყოფილი საუწყებო სამშენებლო კოოპერატივი N601-ის უფლებამონაცვლე – ქ. თბილისის

ინდივიდუალური ბინათმშენებლობის მენაშენეთა ამხანაგობა „ნუცუბიძის პლატო 601"-სა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს შორის „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" 2016 წლის 2 დეკემბერს გაფორმებულ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანაზე თანხმობის გაცემის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ქ. თბილისის საკრებულოს **2016 წლის 25 ნოემბრის N382 განკარგულებაში** ცვლილებების განხორციელებას, ქ. თბილისის მთავრობის **2020 წლის 13 მაისისN20.506.649 განკარგულების** დანართით წარმოდგენილი შეთანხმების პროექტის შეთანხმებასა და სსიპ – ქონების მართვის სააგენტოსა და ინდივიდუალური ბინათმშენებლობის მენაშენეთა ამხანაგობა „ნუცუბიძის პლატო 601"-ს შორის, **2016 წლის 2 დეკემბერს** გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის გაუქმებას, ამავე პროექტის შესაბამისად, რაც ქ-ნ თამუნას თქმით, განპირობებულ იქნა შემდეგ გარემოებათა გამო:

- ქ. თბილისის მთავრობის 2016 წლის 21 სექტემბრის N37.14.807 განკარგულებისა და ქ. თბილისის საკრებულოს 2016 წლის 25 ნოემბრის N382 განკარგულების შესაბამისად, სსიპ – ქონების მართვის სააგენტოსა და ქალაქ თბილისის ინდივიდუალური ბინათმშენებლობის მენაშენეთა ამხანაგობა „ნუცუბიძის პლატო 601"-ს შორის **2016 წლის 2 დეკემბერს გაფორმებული ხელშეკრულებით, ამხანაგობას საკუთრებაში გადაეცა 16 078 კვ.მ მიწის ნაკვეთი** და მასზე მდგომი დაუმთავრებელი შენობა-ნაგებობა, მდებარე ქ. თბილისში, ნუცუბიძის ფერდობზე, II მიკრო/რაიონში, I კვარტალში კორპუსი 8-ის მიმდებარედ (ს/კ: 01.14.01.007.268), ამხანაგობის მიერ შესაბამისი ამხანაგობის წევრთა მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საშინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე უარის თქმის სანაცვლოდ.
- ზემოაღნიშნული განკარგულებები და უძრავი ქონების რეგისტრაციასთან დაკავშირებით საჯარო რეესტრის მიერ გამოცემული ადმინისტრაციული აქტები დაინტერესებულ მხარეთა მიერ **გასაჩივრდა სასამართლოში.**
- **თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებით, ბათილად იქნა** ცნობილი სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება, განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების შესახებ. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 აპრილის №108 განკარგულება, ქ. თბილისის მთავრობისა და საკრებულოს ზემოაღნიშნული განკარგულებები **და მათ საფუძველზე დადებული ხელშეკრულება-1646 კვ.მ ნაწილში.**
- სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე, საჯარო რეესტრის რეგისტრირებული მონაცემების ცვლილების შემდგომ, **უძრავი ქონება გაიმიჯნა ორ მიწის ნაკვეთად: ს/კ:01.14.01.007.268, ფართობი - 14419.00 კვ.მ და ს/კ: 01.14.01.007.372, ფართობი: 13 კვ.მ.** შესაბამისად, ხელშეკრულების აღსრულების უზრუნველყოფის მიზნით, საჭირო გახდა შეთანხმებაში ცვლილების შეტანა. კერძოდ, ცვლილება შეეხება მხარეებს შორის 2016 წლის 2 დეკემბერს გაფორმებული ხელშეკრულების 1.1 პუნქტს და ამხანაგობისათვის გადასაცემი მიწის ნაკვეთი ფართობი, ნაცვლად 16 078 კვ.მ-ისა, განისაზღვრება– 14 432 კვ.მ ფართით.

მომხსენებელმა ყურადღება გაამახვილა შემდეგ მნიშვნელოვან დეტალზეც: ვინაიდან ამხანაგობას ფაქტობრივად მოაკლდა მუნიციპალიტეტის მიერ გადაცემული ფართი, მხარეთა შეთანხმებით,**ხელშეკრულებიდან ამოღებულ იქნება 3.1.2 პუნქტი,** რაც ამხანაგობას აკისრებდა გადაცემულ ქონებაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობის დასრულებიდან არაუმეტეს 1 (ერთი) თვის ვადაში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს უსასყიდლოდ საკუთრებაში 800 კვ.მ-ის საცხოვრებელ ფართის გადმოცემას თეთრი კარკასის მდგომარეობაში.

საკითხზე მოხსენების დასასრულს, ქ-ნ მარიამმა მიუთითა, რომ ქალაქ თბილისის მთავრობამ შესაძლებლად მიიჩნია, ქ. თბილისის საკრებულოსათვის შესათანხმებლად წარმოედგინა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 13 მაისის N20.506.649 განკარგულების დანართით წარმოდგენილი შეთანხმების პროექტი და ამავე პროექტის შესაბამისად, სსიპ – ქონების მართვის სააგენტოსა და ქალაქ თბილისის ინდივიდუალური ბინათმშენებლობის მენაშენეთა ამხანაგობა „ნუცუბიძის პლატო 601"-ს შორის, 2016 წლის 2 დეკემბერს გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის გაუქმების საკითხი.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ მიზანშეწონილად მიიჩნია, განკარგულების პროექტის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტსა და მე–2 მუხლში ტექნიკური ხასიათის ხარვეზების გასწორება და პროექტის აღნიშნული ნაწილების შესაბამისი რედაქციით ჩამოყალიბება.

გადაწყვიტეს:

ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა ლილე ლიპარტელიანმა თავი შეიკავა წარმოდგენილი განკარგულების პროექტთან დაკავშირებით ხმის მიცემისაგან, ხოლო იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

16 .ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული სამსახურის უფროსმა მარიამ კვერნაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქ. თბილისში, დიდი დიღომი, IV მიკრო/რაიონი, 29-ე კორპუსის მიმდებარედ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ 8613 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ: N01.10.07.004.058) ე.წ. ყოფილი კოოპერატიული ბინათმშენებლობის წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვისა და შპს „პერსპექტივასათვის" (ს/კ: 405304950) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების შესახებ"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 თებერვლის N47 განკარგულების საფუძველზე, ქ. თბილისის მთავრობის შესაბამისი განკარგულების დანართებით გათვალისწინებულ, ყოფილი კოოპერატიული ბინათმშენებლობიის 63 (სამოცდასამი) წევრებს/მათ უფლებამონაცვლეებს გადაეცათ ქ.

თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. თბილისში, ნუცუბიძის ფერდობზე, მხატვრების დასახლების მიმდებარედ არსებული 6738 კვ.მ. და 6276 კვ.მ. უძრავი ქონება, თუმცა, მომხსენებლის მითითებით, კოოპერატივების წევრებმა ვერ მოახდინეს განკარგულებებით მინიჭებული უფლების რეალიზაცია, ამასთან, დღეის მდგომაროებამდე, მიწის ნაკვეთების უფლებრივ მდგომაროებასთან დაკავშირებით დავა მიმდინარეობს სასამართლოში.

ქალაბატონმა მარიამმა ისაუბრა, ქ. თბილისის მერიის მიერ **2019 წლის 1 ივლისიდან 2019 წლის 15 ივლისის ჩათვლით გამოცხადებული ინტერესთა გამოხატვის შესახებ**, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა/წარმოადგენს, ქ. თბილისში, დიდი დიღომი, IV მ/რ, N29-ე კორპუსის მიმდებარედ (ს.კ. N01.10.07.004.058) ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ 8613 კვ.მ მიწის ნაკვეთზესაცხოვრებელი დანიშნულების შენობა-ნაგებობების მშენებლობა და მათი ნაწილის კოოპერატივების წევრებისათვის საკუთრებაში გადაცემა, მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საშინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე უარის თქმის სანაცვლოდ, ხოლო, გამარჯვებულს წარმოადგენდა - **შპს „პერსპექტივა,** რომელმაც **წარმოადგინა კოოპერატივის წევრებისათვის ჯამურად გადასაცემი ფართის (თეთრი კარკასის მდგომარეობით)შეთავაზება 6800 კვ.მ-ის ოდენობით.**

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მხატვრების დასახლების მიმდებარედ დაკმაყოფილებული კოოპერატივის 63 (სამოცდასამი) წევრიდან 54 (ორმოცდათოთხმეტმა) პირმა ნოტარიულად დამოწმებული სანოტარო აქტების საფუძველზე, ქ. თბილისის მთავრობისა და საკრებულოს შესაბამისი განკარგულებების გადაცემულ ფართებზე უარის თქმის სანაცვლოდ, თანხმობა გამოთქვეს დაკმაყოფილდნენ ქ. თბილისში, დიდი დიღომი, IV მ/რ, N29-ე კორპუსის მიმდებარედ (ს.კ. N01.10.07.004.058) ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 8613 კვ. მ მიწის ნაკვეთიდან შესაბამისი წილის მიღებით, ხოლო, კოოპერატივის 3 (სამი) წევრი: დაკმაყოფილებულნი იქნენ მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სხვა უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემით.

მომხსენებელმა დაამატა, რომ ყველა ფაქტობრივი გარემოების გათვალისწინებით, ხდება ქ.თბილისის მთავრობის 2017 წლის 25 იანვრის N04.19.76, ქ. თბილისის საკრებულოს 2017 წლის 24 თებერვლის N47 განკარგულებებისა და მათ საფუძველზე შედგენილი ხელშეკრულების ძალადაკარგულად გამოცხადება, მათი გამოცემის დღიდან, 54 (ორმოცდათოთხმეტი) წევრის/მათი უფლებამონაცვლის და სხვა უძრავი ქონებებით დაკმაყოფილებული 3 (სამი) პირის ნაწილში, აღნიშნული განკარგულებები და მათ საფუძველზე შედგენილი ხელშეკრულება ძალაში რჩება მხოლოდ 6 (ექვსი) მოქალაქისნაწილში, ვინაიდან, მათ არ განცხადეს უარი, უძრავი ქონების დათმობაზე, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სხვა უძრავი ქონების მიღების სანაცვლოდ.

ქ-ნ მარიამმა აგრეთვე ისაუბრა, განკარგულების პროექტით გათვალისწინებულ კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებული სხვა 31 (ოცდათერთმეტი) პირის/უფლებამონაცვლის დაკმაყოფილების საკითხსა და **წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის თანახმად, ხელშემკვრელი მხარეების მიერ შესასრულებელ ღონისძიებებზე, მათ, შორის,** კომპანიის ვალდებულებაზე მიწის ნაკვეთზე განავითაროს სამშენებლო პროექტი და კოოპერატივის წევრებს გადასცეს ხელშეკრულების დანართში მითითებული ფართის საცხოვრებელი ბინა თეთრი კარკასის მდგომარეობით, შესაბამისი წინაპირობების/დათქმების გათვალისწინებით.

დასასრულს, მომხსენებელმა აღნიშნა, რომქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ, იმსჯელა და გადაწყვიტა, ქ. თბილისში, დიდი დიღომი, IV მიკრო/რაიონი, 29-ე კორპუსის მიმდებარედ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ 8613 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ: N01.10.07.004.058) ე.წ. ყოფილი კოოპერატიული ბინათმშენებლობის წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლეებისთვისა და შპს „პერსპექტივასათვის" (ს/კ: 405304950) პირდაპირი განკარგვის ფორმით,სიმბოლური ფასით - 1 (ერთი) ლარის ოდენობით, პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების ქ. თბილისის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავმჯდომარემ მიზანშეწონილად მიიჩნია, პროექტის სათაურში ჩაემატოს სიტყვები „ხელშეკრულების პირობების შეთანხმების თაობაზე", ამასთან, პროექტის სამართლებრივი დასაბუთების ნაწილში მიეთითოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 13 მაისის N20.505.651 განკარგულება, ხოლო პროექტის პირველ პუნქტში, **ქ. თბილისის მთავრობის 2020 წლის მაისის განკარგულების ნაცვლად, მითითებულ იქნას ქ თბილისის მთავრობის 2017 წლის 24 თებერვლის N04.19.76 განკარგულება და სწორი რედაქციით მიეთითოს ამავე განკარგულების დანართი N1 და დანართი N2–ის შესაბამისი მონაცემები,** იმგვარად, აღნიშნული აქტები, ძალაში დარჩეს შემდეგი 6 (ექვსი) განსაზღვრული პირის ნაწილში. აგრეთვე, მიუთითა, განკარგულების პროექტთან ერთად წარმოდგენილ დანართ N1 და დანართ N2–ში, შესაბამისი მოქალაქეების ნაწილში, პირადი მონაცემების პირადობის მოწმობებთან შესაბამისობის აუცილებლობაზე.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიამ, მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, შეიმუშავა ქ. თბილისის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რაც დანართის სახით დაერთვება წინამდებარე დასკვნას.

აღსანიშნავია, რომ საკითხის წარმომდგენმა გაიზიარა კომისიის მიერ მითითებული შენიშვნები.

გადაწყვიტეს:

ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა ლილე ლიპარტელიანმა თავი შეიკავა წარმოდგენილი განკარგულების პროექტთან დაკავშირებით ხმის მიცემისაგან, ხოლო იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ საკითხს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

17. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს ქონების მართვის სამსახურის უფროსმა თამუნა მელიქიშვილმა, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, ქალაქ თბილისში, ფერდობი შალვა ნუცუბიძე, მიკრო/რაიონი IV, კორპუსი 55-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.01.001.060.01.021ა) მდებარე უძრავი ქონების

პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ვაკის რაიონის გამგეობას წარედგინა მოქალაქე ნატო კალანდარიშვილის განცხადებები, რითაციითხოვა მის მიერ დაკავებული ქალაქ თბილისში, ფერდობი შალვა ნუცუბიძე, მიკრო/რაიონი IV, კორპუსი 55-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.01.001.060.01.021ა) მდებარე 20.86 კვ.მ ფართის ბინა N21ა-ს სიმბოლურ ფასად პრივატიზებასთან დაკავშირებით შუამდგომლობის გაწევა.

მომხსენებელმა დეტალურად ისაუბრა საკითხთან დაკავშირებულ შემდეგ მნიშვნელოვან დეტალებზე:

- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის მიერ, 2006 წლის 19 ივნისს გაცემულია თანხმობა, ნატო კალანდარიშვილი სახელზე, უძრავი ქონების, მდებარე: ნუცუბიძის პლატო, IV მ/რ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის N2 საერთო საცხოვრებელი, ოთახი N203ა საკუთრებაში რეგისტრირებასთან დაკავშირებით;
- მოქალაქე ნატო კალანდარიშვილის მიერ, დაინტერესებაში არსებულ უძრავ ქონებაში 1996 წლიდან ცხოვრების ფაქტი დასტურდება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ.თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს სამმართველოს პოლიციის III განყოფილების მიერ შედგენილი დოკუმენტით. ცხოვრების ფაქტი ასევე დასტურდება ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „ცხუმ-აფხაზეთის"კრების ოქმით.

მომხსენებელმა დაამატა, რომ გამგეობამ გაითვალისწინა მოქალაქე ნატო კალანდარიშვილის თხოვნა და შუამდგომლობა გაუწია, თვითნებურად დაკავებული უძრავი ქონების დარეგისტრირებასთან დაკავშირებით, ხოლო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **მთავრობამ ყველა გარემოების გათვალისწინებით, მიზანშეწონილად მიიჩნია დაინტერესებული პირისთვის, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარის სანაცვლოდ პრივატიზების საკითხის ქ. თბილისის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.**

აზრი გამოთქვეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის **კომისიის თავმჯდომარემ მიზანშეწონილად მიიჩნია,** განკარგულების პროექტის სათაურში სიტყვის „შეთანხმების" ჩამატება, პროექტის პირველ მუხლში კი, „საპრივატიზებო საფასურის –1 (ერთი) ლარის ოდენობით მითითება, ხოლო განკარგულების მე–2 მუხლის ტექნიკურად გამართვა.

გადაწყვიტეს:

ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა ლილე ლიპარტელიანმა თავი შეიკავა წარმოდგენილი განკარგულების პროექტთან დაკავშირებით ხმის მიცემისაგან, ხოლო იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

18. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს ქონების მართვის სამსახურის უფროსმა თამუნა მელიქიშვილმა, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი, N2-8-ში (საკადასტრო კოდი: N01.16.05.033.005.01.558) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმითპრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჩუღურეთის რაიონის გამგეობას განცხადებით მიმართა მოქალაქე ინეზა თევზაძემ და ითხოვა ქალაქ თბილისში, დავითაღმაშენებლის გამზირი N2/8 (ს/კ N01.16.05.033.005.01.558) მდებარე, მის ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული **70 კვ.მ.** საცხოვრებელი ფართის საკუთრებაში გადაცემა.

მომხსენებელმა დაამატა, რომ ინეზა თევზაძის მიერ დაინტერესებაში არსებულ ქონებაში (2008 წლიდან) ცხოვრების ფაქტს ადასტურებს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისის სამმართველოს პოლიციის V განყოფილება შესაბამისი დოკუმენტაციით, ასევე, ცხოვრების ფაქტის დადასტურებასთან დაკავშირებით გამგეობაში წარდგენილ იქნა მოქალაქეების: ლევან ანჯაფარიძე, გიორგი ანჯაფარიძე, ნანა სვანიძე, თამარ ბერიაშვილი, ზაურ კილასონია, ლლევან ჩოჩუა, ნინო დათეშიძე, სანოტარო წესით დამოწმებული დოკუმენტი.

ქ-ნ თამუნამ ასევე აღნიშნა, რომ ჩუღურეთის რაიონის გამგეობამ გაითვალისწინა მოქალაქე ინეზა თევზაძის თხოვნა და შუამდგომლობით მიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის სსიპ–ქონების მართვის სააგენტოს. ხოლო, საკითხის სააგენტოს მომზადების შემდგომ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ იმჯელა და მიზანშეწონილად მიიჩნია, დაინტერესებული პირისათვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების **სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად გადაცემის საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარდგენა.**

აზრი გამოთქვეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის **კომისიის თავმჯდომარემ მიზანშეწონილად მიიჩნია,** განკარგულების პროექტის სათაურში სიტყვის „შეთანხმების" ჩამატება, პროექტის პირველ მუხლში კი, „საპრივატიზებო საფასურის –1 (ერთი) ლარის ოდენობით მითითება, ხოლო განკარგულების მე–2 მუხლის ტექნიკურად გამართვა.

გადაწყვიტეს:

ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა ლილე ლიპარტელიანმა თავი შეიკავა წარმოდგენილი განკარგულების პროექტთან დაკავშირებით ხმის მიცემისაგან, ხოლო იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული

შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

19. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს ქონების მართვის სამსახურის უფროსმა თამუნა მელიქიშვილმა, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისში, კოლმეურნეობის მოედანი „პირიმზე"-ს მიმდებარედ არსებული 242 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან 36 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.18.03.010.009) გვანცა ქურხულისთვის (პ/ნ: 01011076630) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს განცხადებებით მიმართა როგორც მოქალაქე გვანცა ქურხულმა, აგრეთვე, მისმა წარმომადგენლმა ზაალი ხვიჩიამ და ითხოვეს, ქალაქ თბილისში, კოლმეურნეობის მოედანი „პირიმზეს" მიმდებარედ არსებული 242 კვ. მ. მიწის ნაკვეთიდან 36 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: № 01.18.03.010.009) გვანცა ქურხულისათვის იჯარით გადაცემა, ჩასასვლელი კიბის მოწყობის მიზნით, 15 (თხუთმეტი) წლის ვადით, სანაცვლოდ აღნიშნული პირი თანხმობას გამოთქვამდა, საიჯარო ქირის წლიური საფასურის – 4320 (ოთხი ათას სამას ოცი) ლარის გადახდასთან დაკავშირებით;

მომხსენებლის თქმით, მოთხოვნილ ტერიტორიაზე ჩასასვლელი კიბის განთავსებასთან დაკავშირებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს წარედგინა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 30 აგვისტოს № 4651556 (AR 1702477) გადაწყვეტილება, რომლის თანახმად საკითხი განხილულ იქნა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოზე (ოქმი № 33; 22 აგვისტო 2019 წელი) რომლის გადაწყვეტილების საფუძველზეც ჩასასვლელი კიბის მოწყობის საკითხს მიეცა დადებითი შეფასება;

ქ-ნ თამუნამ დაამატა, რომ სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს სასაქონლო ექსპერტიზის დასკვნის შესაბამისად, ქ. თბილისში, კოლმეურნეობის მოედანზე, „პირიმზეს" მიმდებარედ არსებული №01.18.03.010.009 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონებიდან დამკვეთის მიერ წარმოდგენილ ორთოფოტოზე მონიშნული 36 კვ. მ. მიწის ნაკვეთის წლიური საბაზრო საიჯარო ქირა 2020 წლის 16 მარტის მდგომარეობით საორიენტაციოდ განისაზღვრა 4320 ლარის ოდენობით.

დასასრულს მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ შესაძლებლად მიიჩნია დაინტერესებაში არსებული, 242 კვ.მ. რეგისტრირებული მიწის ნაკვეთიდან (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: № 01.18.03.010.009) **36 კვ.მ.** ფართობის მიწის ნაკვეთის იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით, **15 (თხუთმეტი) ვადით** საიჯარო ქირის წლიური საფასური - **4320 (ოთხი ათას სამას ოცი) ლარის სანაცვლოდ**

გვანცა ქურხულისთვის გადაცემის საკითხის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.

აზრი გამოთქვეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის **თავმჯდომარის მოსაზრებით, მიზანშეწონილია,** განკარგულების პროექტის სათაურს დაემატოს სიტყვები „საკითხის შეთანხმების", ამასთან, გასწორდეს შემდეგი ტექნიკური ხარვეზები:

- სამართლებრივი საფუძვლების ნაწილში გასწორდეს ტექნიკური ხასიათის ხარვეზი („1221"-ის ნაცვლად ჩაიწეროს „122[1]"),
- პროექტის პირველ პუნქტში სწორი ფორმით მიეთითოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 25 თებერვლის № 20.209.251 განკარგულების სათაური;
- განკარგულების პროექტის მესამე პუნქტში კი მიეთითოს განკარგულების გასაჩივრების ადგილის სწორი მისამართი.

გადაწყვიტეს:

ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა ლილე ლიპარტელიანმა თავი შეიკავა წარმოდგენილი განკარგულების პროექტთან დაკავშირებით ხმის მიცემისაგან, ხოლო იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

20. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს ქონების მართვის სამსახურის უფროსმა თამუნა მელიქიშვილმა, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, ქალაქ თბილისში, ხიზანიშვილის ქუჩაზე, ავეჯის სახლის მოპირდაპირედ არსებული 37 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: N01.11.12.014.109) შპს „ორიგინალი +"-ისთვის (ს/ნ: 400081095) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს, ელექტრონული განცხადებით მიმართა შპს „ორიგინალი +"-ის (ს/ნ: 400081095) დირექტორმა და ითხოვა ქალაქ თბილისში, ხიზანიშვილის ქუჩაზე, ავეჯის სახლის მოპირდაპირედ არსებული 37 კვ.მ. მიწის ნაკვეთის იჯარით გადაცემა, ღია კაფეს მოსაწყობად, 3 წლის ვადით, მოგვიანებით კი, აღნიშნული პირის მიერ დაზუსტებულ იქნა იჯარის ვადა და თანხმობა საიჯარო ქირის ოდენობასთან დაკავშირებით.

ქ-ნ თამუნამ აგრეთვე განაცხადა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა შესაძლებლად მიიჩნია ღია კაფესთვის მოთხოვნილი მიწის ნაკვეთის იჯარით განკარგვა, იმ პირობით, თუ დაცული იქნება „ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების

წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილების მოთხოვნები.

მომხსენებელმა დაამატა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მხედველობაში მიიღო სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნით, 2019 წლის 14 ნოემბრის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განსაზღვრული, დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის წლიური საბაზრო საიჯარო ქირის ოდენობა – 5,328 (ხუთი ათას სამას ოცდარვა) ლარის სახით, **იმსჯელა და მიზანშეწონილად მიიჩნია,** დაინტერესებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით შპს „ორიგინალი +"-ისთვის 3 (სამი) წლის ვადით, საიჯარო ქირის წლიური საფასურის – 5400 (ხუთი ათას ოთხასი) ლარის სანაცვლოდ გადაცემის **საკითხის ქ. თბილისის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარმოდგენა.**

გადაწყვიტეს:

ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა ლილე ლიპარტელიანმა თავი შეიკავა წარმოდგენილი განკარგულების პროექტთან დაკავშირებით ხმის მიცემისაგან, ხოლო იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

21. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს ქონების მართვის სამსახურის უფროსმა თამუნა მელიქიშვილმა, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილ „ქალაქ თბილისში, რიყის ტერიტორიაზე არსებული 55735 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: 01.17.01.065.065) 47 კვ.მ მიწის ნაკვეთის შპს „ატრაქციონისთვის" (ს/კ: 405354753) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს 2019 წლის 25 სექტემბრის ბრძანებით, უძრავ ქონებაზე: ქ. თბილისში, რიყის ტერიტორია, ნაკვეთი 65/062; უძრავი ქონების ფართი - 55735 კვ. მ. მიწის ნაკვეთიდან ორთოფოტოზე მონიშნული 25 კვ. მ. და 46 კვ. მ. მიწის ნაკვეთებზე გამოცხადებულ №488 ელექტრონული აუქციონში გამარჯვების შედეგად, სააგენტოსა და შპს "ატრაქციონს" (ს/ნ: 405354753) შორის 2019 წლის 23 ოქტომბერს გაფორმდა შესაბამისი ხელშეკრულება, რითაც მოიჯარეს იჯარის საგანი გადაეცა 10 (ათი) წლის ვადით, საჰაერო ბუშტის განთავსების მიზნით, სარგებლობის ყოველწლიური საფასურით – 8776 (რვა ათას შვიდას სამოცდათექვსმეტი) ლარის ოდენობით;

ქ-ნ თამუნამ დაამატა, რომ შპს „ატრაქციონმა" განცხადებებით მიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს და საჰაერო ბურთის შეუფერხებლად მუშაობისთვის, **საჰაერო ბურთის სამაგრების, დასაჯდომი ცენტრისა და სამანქანე სივრცის განთავსების (მოწყობის) მიზნით, დამატებით ითხოვა** ქალაქ თბილისში, რიყის ტერიტორიაზე არსებული 55735 კვ. მ. მიწის ნაკვეთიდან (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: № 01.17.01.065.065) **47 კვ.მ. მიწის ნაკვეთის სარგებლობის უფლებით**

იჯარით გადაცემა, აღნიშნულ თხოვნასთან დაკავშირებით, სააგენტოსა და შპს "ატრაქციონს" შორის გამოფრმებული ხელშეკრულების დანართში შევიდა ცვლილება და სარგებლობის უფლებით გადაცემული 46 კვ. მ. და 25 კვ. მ. მიწის ნაკვეთები დაკორექტირდა;

მომხსენებელმა აგრეთვე ისაუბრა შემდეგ მნიშვნელოვან საკითხებზეც:

- სააგენტოს წარედგინა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის გადაწყვეტილებები, რომელთა თანახმად 2020 წლის 27 თებერვალს საკითხი განხილულ იქნა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოზე და ქალაქ თბილისში, რიყის ტერიტორიაზე კონსტრუქციების (საჰაერო ბურთის სამაგრების, დასაჯდომი ცენტრისა და სამანქანე სივრცის) განთავსების საკითხს მიეცა დადებითი შეფასება;
- სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული სასაქონლო ექსპერტიზის დასკვნის შესაბამისად, ქალაქ თბილისში, რიყის ტერიტორიაზე მდებარე № 01.17.01.065.065 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთიდან, დამკვეთის მიერ წარდგენილ სიტუაციურ ნახაზზე მონიშნული 47 კვ. მ. მიწის ნაკვეთის მთლიანი წლიური საბაზრო საიჯარო ქირა 2020 წლის 21 აპრილის მდგომარეობით საორიენტაციოდ შეადგენს 8460 ლარს;

დასასრულისაკენ **კი ქ-ნ თამუნამ დასძინა,** რომ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ შესაძლებლად მიიჩნია** დაინტერესებაში არსებული, 55735 კვ. მ. რეგისტრირებული მიწის ნაკვეთიდან (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: № 01.17.01.065.065) 47 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით, **2029 წლის 23 ოქტომბრამდე,** საიჯარო ქირის წლიური საფასურის - **8500 (რვა ათას ხუთასი) ლარის სანაცვლოდ,** შპს „ატრაქციონი"–სთვის გადაცემის **საკითხის ქ. თბილისის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარდგენა.**

აზრი გამოთქვეს:
კომისიის თავმჯდომარემ მიზანშეწონილად მიიჩნია წარმოდგენილი საკრებულოს განკარგულების პროექტის სათაურს დაემატოს სიტყვები „საკითხის შეთანხმების" და გასწორდეს შესაბამისი ტექნიკური ხასიათის ხარვეზები;

გადაწყვიტეს:

ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა ლილე ლიპარტელიანმა თავი შეიკავა წარმოდგენილი განკარგულების პროექტთან დაკავშირებით ხმის მიცემისაგან, ხოლო იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

22. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის – **სსიპ ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ ვასილ აბულაძემ** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, "საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 135–135^2 მუხლებით, 135^3 მუხლის პირველი ნაწილით, 135^4 და 135^5 მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისას საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგებისა და გასაჩივრების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებელმა მოხსენების დასაწყისში აღნიშნა, რომ წარმოდგენილი დადგენილების პროექტით მტკიცდება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 135–135^2 მუხლებით, 135^3 მუხლის პირველი ნაწილით, 135^4 და 135^5 მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისას საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგებისა და გასაჩივრების **ახალი წესი,** ამასთან, **პროექტი ძალადაკარგულად აცხადებს** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის **№19-71 დადგენილებას** და 2018 წლის 7 დეკემბრის **№32-108 დადგენილებას.**

მომხსენებელმა ისაუბრა, პროექტთან დაკავშირებულ შემდეგ მნიშვნელოვან დეტალებზე:

- საკრებულოს ზემოაღნიშნული დადგენილებებით დამტკიცებული შესაბამისი წესების მიხედვით კოდექსის მითითებული მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისას საჯარიმო ქვითრების ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების შედგენის უფლებამოსილება ენიჭებოდა **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურს**.

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის №52-1 დადგენილებით, 2020 წლის პირველი მარტიდან, **დაფუძნდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტო, რომელიც წარმოადგენს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფლებამონაცვლეს.**

- ამავე დადგენილებით დამტკიცდა სააგენტოს დებულება, რომლის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „შ" და „ჩ" ქვეპუნქტებით სააგენტოს ფუნქციებად განისაზღვრა „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 135-ე-135 ^{2}მუხლებით, 135^3 მუხლის პირველი ნაწილით, 135^4 და 135^5 მუხლებით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, საჯარიმო ქვითრების ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების შედგენა;", „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 და მე-12-მე-14 ნაწილებით, 125^2 მუხლით, 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით, 135-ე–135^5 მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისათვის შეფარდებული

ადმინისტრაციული სახდელის (ჯარიმის) ან/და საურავის დარიცხვის შესახებ დადგენილების ზემდგომ ორგანოში (თანამდებობის პირთან) გასაჩივრებისას საჩივრის განხილვა და გადაწყვეტილების მიღება.

- ქ-ნ თამუნამ ასევე აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-71 და 2018 წლის 7 დეკემბრის №32-108 დადგენილებების ძალადაკარგულად გამოცხადებისა და მათი ახლით ჩანაცვლების აუცილებლობა გამოიწვია საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულმა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილებებმა.
- ამასთან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 თებერვლის №53-19 დადგენილებით ცვლილება შევიდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №16-53 დადგენილებაში და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-12 ნაწილით გათვალისწინებულ სამართალდარღვევაზე საჯარიმო ქვითრის შედგენის უფლებამოსილება მიენიჭა შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიას" (ს/კ 202886788).

მოხსენების დასასრულს მომხსენებელმა დაამატა, რომ აღნიშნული ცვლილებებიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-71 და 2018 წლის 7 დეკემბრის №32-108 დადგენილებების ძალადაკარგულად გამოცხადება და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის **ახალი დადგენილების პროექტის წარდგენა,** რომელიც დღეს მოქმედი დადგენილებების მსგავსად ადგენს საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგებისა და გასაჩივრების წესს და ასევე, მასში გათვალისწინებულია ზემოაღნიშნული ცვლილებები.

გადაწყვიტეს:

ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა ლილე ლიპარტელიანმა თავი შეიკავა წარმოდგენილი დადგენილების პროექტთან დაკავშირებით ხმის მიცემისაგან, ხოლო იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

23. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ თამარ ტალიაშვილმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს ინიციირების წესით წარუდგინა, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მართვაში სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებების ერთ ბავშვზე/აღსაზრდელზე გათვლილი ვაუჩერით დაფინანსების, სასკოლო მზაობის საგანმანათლებლო სახელმწიფო სტანდარტის დანერგვის, მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებებში ბავშვის აღსაზრდელის რეგისტრაციისა და მიღება-ამორიცხვის წესის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 2 ოქტომბრის №25–101 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მართვაში სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებების ერთ ბავშვზე/აღსაზრდელზე გათვლილი ვაუჩერით დაფინანსების, სასკოლო მზაობის საგანმანათლებლო სახელმწიფო სტანდარტის დანერგვის, მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებებში ბავშვის აღსაზრდელის რეგისტრაციისა და მიღება-ამორიცხვის წესში" განიცდის ცვლილებას და **წესის მე-9 მუხლის მე-10 პუნქტს ემატება „ვ", „ზ", და „თ" ქვეპუნქტები, რითაც** თბილისის მუნიციპალიტეტის მართვაში არსებულ სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებებში სასწავლო-სააღმზრდელო წლის დაწყებამდე რეგისტრაციის პერიოდში, რეგისტრაციის უპირატესობით სარგებლობის უფლების მქონე სუბიექტებს ასევე დაემატება, შემდეგი:

- **ვ) საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1191[2] მუხლით გათვალისწინებული მრავალშვილიანი მშობლის სტატუსის მქონე პირის შვილის ან/და ნაშვილები;**
- **ზ) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის წარმოებულ ბრძოლაში, საერთაშორისო სამშვიდობო მისიებსა და სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დაჭრილი, დაშავებული, დაღუპული და უგზო-უკვლოდ დაკარგული სამხედრო მოსამსახურეების შვილები;**
- **თ) რეგისტრაციის პერიოდში, საერთაშორისო სამშვიდობო ოპერაციებში მყოფი სამხედრო მოსამსახურეების შვილები;**

ქალბატონმა თამარმა დასძინა, რომ დადგენილებაში ცვლილების შეტანა განპირობებულ იქნა „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის მოთხოვნით, რომლის შესაბამისად, ბავშვთა სათანადო განვითარებისა და სკოლისათვის მოსამზადებლად, მუნიციპალიტეტები უზრუნველყოფენ ძლიერი და მდგრადი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სისტემის შექმნას, ბავშვისა და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებების დაცვას.

ზემოაღნიშნულის გარდა, **მომხსენებელმა დაამატა, რომ** არსებული სოციალური გამოწვევებიდან გამომდინარე, ასეთივე საკანონმდებლო გარანტიების შექმნაა საჭირო სამხედრო მოსამსახურეების შვილ(ებ)ისთვის, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს საქართველოს თავდაცვის პოლიტიკისა და „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ" საქართველოს კანონის ეფექტურად განხორციელებას. სწორედ ამ მიზნით, საქართველოს სამინისტრომ მიმართა ა(ა)იპ „თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს" და წარუდგინა წინადადება ცალკეული კატეგორიის სამხედრო მოსამსახურეთა შვილებისათვის თბილისის მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებებში სასწავლო-სააღმზრდელო წლის დაწყებამდე რეგისტრაციის პერიოდში, რეგისტრაციის უპირატესობით სარგებლობის მინიჭებასთან დაკავშირებით.

ქალბატონმა თამარმა აგრეთვე, დაამატა, დადგენილების პროექტი განხილულ იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის სხდომაზე.

გადაწყვიტეს:

ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" წევრმა ლილე ლიპარტელიანმა თავი შეიკავა წარმოდგენილი დადგენიელბის პროექტთან დაკავშირებით ხმის მიცემისაგან, ხოლო

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე	**ლევან ჟორჟოლიანი**
სხდომის მდივანი	**თათია ბარაქაძე**